პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 ივნისი პარასკევი 2013
№150 (14 066) ფასი 80 თეთრი



## როდის დაბრუნდება ვანაძე?

4

# ასეთი ფინალი ჯერ არ ყოფილა

კვირას, 30 ივნისს
23:00. III ადგილისთვის
იტალია-ურუგვაი
02:00. ფინალი
ბრაზილია-ესპანეთი



8

## ქართველი ფეხბურთელების მიდი-მოდი

# გაუღიმებს ლევან ყენიას ფორტუნა?



ლევან ყენია

უკრაინული პრესა: ქართველმა ფეხბურთელმა გერმანიაში სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს, რის შემდეგაც გაირკვევა, დარჩება თუ არა დიუსელდორფში

## კიდევ ერთი ქართველი ინტერში

ლაშა სალუქვაძე კარიერას აზერბაიჯანში გააგრძელებს

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ტრანსფერი

# ლაშა სალუქვაძეც ინტერშია!

ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მცველი **ლაშა სალუქვაძე** კარიერას ბაქოს „ინტერში" გააგრძელებს! აზერბაიჯანის ერთ-ერთი წარმატებული კლუბი „ინტერი" ახალ სეზონში პირველ ოფიციალურ მატჩს 4 ივლისს ჩაატარებს, როცა ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფინურ „მარიეჰანის" უმასპინძლებს. ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, თუ როგორ გააძლიერებს 31 წლის უნივერსალ მცველი ბაქოურ კლუბს: 14-წლიანი საკლუბო და სანაკრებო კარიერის განმავლობაში სალუქვაძემ უდიდესი გამოცდილება მიიღო და სადაც კი უთამაშია, იმ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს ბაქოს „ინტერმა" ერთობ საინტერესო სატრანსფერო კამპანია აწარმოა: ჯერ იყო და გერმანული „ბოხუმიდან" წამოსული, 35 წლის **ალექსანდრე იაშვილი** მიიწვია, ამას მოჰყვა არანაკლებ „ხმაურიანი" ამბავი, როცა გასულ სეზონში თბილისის „დინამოს" წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, 30 წლის **მიკელ ალვარო** დაიმატა. მოკლედ, „ინტერი" არ ღალატობს „ტრადიციას": იმის მიუხედავად, რომ გასული სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდიდან 4 ქართველი ფეხბურთელი (**რევაზ თევდორაძე, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე, გიორგი ადამია**) და ყოფილი დინამოელი (**რობერტინიო**) წავიდნენ, ყველაზე მეტი ჩვენებური მაინც ამ კლუბში აგრძელებს მოღვაწეობას. ალექსანდრე იაშვილისა და ლევან სალუქვაძის გარდა, „ინტერში" თამაშობენ **გიორგი ლომაია** და **ბაჩანა ცხადაძე**, გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძეა**, მისი ასისტენტი - **ზაურ სვანაძე**, მენეჯერი კი - **ალექსანდრე რეხვიაშვილი.**

ახალი სეზონისათვის მზადება „ინტერმა" პირველ ივნისს თურქეთში დაიწყო. ამჟამად კი გუნდი ავსტრიულ შეკრებაზეა, უფრო ზუსტად, გუშინ დაასრულა. კახა ცხადაძის შეგირდებმა ავსტრიაში პირველი სპარინგი იქაურ ქვედალიგელ „ინბრუგთან" ჩაატარეს და 8:0 მოიგეს; ამას მოჰყვა ორი ფრე საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან: რუსეთის „კრასნოდართან" (0:0) და პრაღის „სლავიასთან" (1:1). აი, გუშინ კი „ინტერს" სოლიდურზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი სპარინგ-პარტნიორი ჰყავდა: მახაჩყალის „ანჟი" ბოლო წლებში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალბიუჯეტიან გუნდად ჩამოყალიბდა და ამ კლუბის ყოვლისშემძლე, მილიარდელი მეპატრონე **სულეიმან ქერიმოვი** ზღაპრული ხელფას-პრემიებით ანებივრებს თავის ფეხბურთელებსა თუ მწვრთნელებს. „ანჟის" შემადგენლობაში არაერთი მაღალი დონის შემსრულებელი ასპარეზობს (**სამუელ ეტოს** დასახელებაც საკმარისი იქნებოდა), თუმცა ამ ზაფხულს გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა და მთავარი მწვრთნელი, ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი **გუუს ჰიდინკიც** სერიოზული დილემის წინაშე დადგება, - ფეხბურთელების იმდენად დიდი არჩევანი ექნება. „ინტერისა" და „ანჟის" საკონტროლო მატჩის პერიპეტიებზე მოკლედ ბოლოს ვისაუბრებთ, მანამდე კი ბაქოელთა კლუბის ბოლო შენაძენის კარიერა გვინდა გავიხსენოთ.

## ჩინებული კარიერა და ახალი გამოწვევა

...ლაშა სალუქვაძე ფეხბურთის ქართველმა გულშემატკივარმა თბილისის „ლოკომოტივიდან" გაიცნო: 2000-01 წლების სეზონში რკინიგზელთა გუნდის იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი **გივი ნოდია** თამამად ენდობოდა 19 წლის დებიუტანტ მცველს. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ სწორედ იმ სეზონში საქართველოს ჩემპიონატში (კერძოდ, თბილისის „ლოკომოტივში") დაბრუნდნენ **კახა ცხადაძე** და **მურთაზ შელია**! აი, ასეთი ფეხბურთელების გვერდით ჰქონდა დებიუტი ლაშა სალუქვაძეს, რომელიც უკვე მომდევნო სეზონიდან „ლოკომოტივის" შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, - ამ დროს კი რკინიგზელთა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი კახა ცხადაძე გახლდათ და აი, თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ეს „დუეტი" კვლავაც ერთ გუნდში იქნება!

...ისევ სალუქვაძის სადებიუტო სეზონს დავუბრუნდეთ, რომელიც „ლოკომოტივის" სრული ტრიუმფით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გუნდი ვერც ჩემპიონი გახდა (II ადგილი) და ვერც თასი აიღო. განსაკუთრებით მტკივნეული კი მაინც თასის ფინალი იყო: „ლოკომოტივის" სტადიონის საზეიმო გახსნის დღეს რკინიგზელთა გუნდმა პენალტების სერიაში ვერაფერი მოუხერხა „ტორპედოს" მეკარე **ნიკა ტოგონიძეს**. ლაშა სალუქვაძემ „თავისი" პენალტი კი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა... ერთი წლის შემდეგ სალუქვაძემ მაინც შეძლო თასის ფინალში გამარჯვება, ჩემპიონატში კი კვლავაც ვერცხლის მედლებს დასჯერდა. სულ „ლოკომოტივში" 4 სეზონი ითამაშა, მერე გადავიდა თბილისის „დინამოში" და სწორედ ამ გუნდის ფეხბურთელის რანგში ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში დებიუტი: 2004 წლის 8 სექტემბერს **ალენ ჟირესმა** ძირითადში ანდო ადგილი. სალუქვაძეს „დინამოში" დიდხანს არ უთამაშია: 2005 წლის დასაწყისიდან მის კარიერაში გამორჩეული პერიოდი დაიწყო და მართლაც არ იყო ხუმრობა საქმე, როცა ქართველი ფეხბურთელი ზედიზედ ექვსი სეზონის განმავლობაში რუსეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, ყაზანის „რუბინის" წარმატებების თანამონაწილეც გახლდათ. ამ ექვსი სეზონის განმავლობაში „რუბინის" მაისურით სალუქვაძეს არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაუტარებია როგორც რუსულ პრემიერლიგაში, ასევე - ჩემპიონთა ლიგაზე! განსაკუთრებით კი, რაღა თქმა უნდა, „ბარსელონასთან" სტუმრად ჩატარებული ის მატჩი გვახსენდება, როცა ყაზანელთა მცველმა ღირსეულად იასპარეზა... **ლეო მესის** წინააღმდეგ! სალუქვაძემ „რუბინი" რუსეთის ორგზის ჩემპიონის რანგში დატოვა და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გადავიდა. სამწუხაროდ, „ვოლგას" ხელმძღვანელები ამ გუნდის ქართულ „დიასპორას" ერთობ არაკეთილსინდისიერად დაშორდნენ და 2012 წლის ზამთარში ლაშა სალუქვაძე საქართველოში, კერძოდ „დილაში" დაბრუნდა. გასული სეზონიც „დილასთან" ერთად დაიწყო, გუნდის კაპიტანიც გახლდათ და თავის ამპლუაში ერთ-ერთი გამორჩეულიც, თუმცა ტრავმის გამო ბევრი მატჩის გაცდენამ მოუწია. სალუქვაძეს წინა სეზონის მეორე ეტაპი „დილაში" აღარ უთამაშია: ამ გუნდის მთავარ მწვრთნელთან, **გიორგი დარასელიასთან** და რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად რუსეთს მიაშურა და ხაბაროვსკის „სკა-ენერგიაში" ჩაირიცხა. სამწუხაროდ, „სკა-ენერგიამ" რუსეთის პრემიერლიგის საგზური ვერ მოიპოვა და ჩვენებურებიც, თითქმის ყველა წამოვიდა (**გიორგი ნავალოვსკის** გარდა). ბოლო დღეებამდე უცნობი იყო, თუ სად გააგრძელებდა კარიერას ეს გამოცდილი მცველი, საქართველოს ნაკრებში 36 მატჩი რომ აქვს ჩატარებული. და აი, ახალი გამოწვევაც: ძველი ნაცნობების (კახა ცხადაძის გარდა, სალუქვაძეს „ლოკომოტივში" ზაურ სვანაძის ხელმძღვანელობითაც უთამაშია, გიორგი ლომაიასთან და ალექსანდრე იაშვილთან ერთად ნაკრებში არაერთი მატჩი ჩაუტარებია) კამპანიაშია და შეეცდება, თავისი უდიდესი გამოცდილებით გუნდს ევროტურნირებზე წარმატებულად ასპარეზობაში დაეხმაროს აი, რაც შეეხება ნაკრებს, ბევრი მიიჩნევს, რომ სალუქვაძეს ხშირად უსამართლოდ ექცეოდნენ: ერთი პერიოდი, **კლაუს ტოპმიოლერიც** არ სწყალობდა, მაგრამ მერე შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა. ექტორ კუპერი თავიდანვე ენდობოდა, თუმცა ბოლოს აღარ იძახებდა; **თემურ ქეცბაიას** ნაკრებში მოსვლის შემდეგ, სხვა „შერისხულების" მსგავსად, სალუქვაძეც დაბრუნდა, ოფიციალურ შეხვედრებშიც მუდამ ძირითადში იყო, მაგრამ ხორვატიასთან სტუმრად წაგებული მატჩის შემდეგ ეს გამოცდილი და უნივერსალური მცველი საქართველოს ნაკრებში აღარ გამოუძახებიათ...



ლაშა სალუქვაძე

**გია ტუხაშვილი**

*P.S. გუშინ „ანჟისა" და „ინტერის" საკონტროლო მატჩი მახაჩყალელთა გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. ერთადერთი გოლი 61-ე წუთზე რუსეთის ნაკრების წევრმა, „ანჟის" ახალწვეულმა **ალექსეი იონოვმა** გაიტანა. „ინტერის" შემადგენლობაში ძირითადში დაიწყეს თამაში **ბაჩანა ცხადაძემ** (81-ე წუთზე შეცვალეს) და **მიკელ ალვარომ** (53-ე წუთზე შეცვალეს), **გიორგი ლომაია** მოედანზე შესვენების მერე გამოჩნდა, **ალექსანდრე იაშვილს** კი მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია.*

ინტერვიუ



შოთა არველაძე

ამ დღეებში მომხდარი ამბავი გეცოდინებათ: „ფენერბახჩე" და „ბეშიქთაში" ევროტურნირებიდან მოკვეთეს, ეს გუნდები 2012-13 წლების თურქეთის ჩემპიონატში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილზე გავიდნენ. შოთა არველაძის გაწვრთნილმა სტამბოლის „ქასიმფაშამ" კი მეექვსე ადგილი დაიკავა და რადგან „ფენერბახჩე" და „ბეშიქთაში" დაიფრინეს, ჩვენებურის გუნდს ევროპა ლიგისკენ გაეხსნა გზა - „ქასიმფაშა" მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება ამ ტურნირში. შოთა არველაძე ახლა თურქეთშია და ყოველივე ამასთან დაკავშირებით მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით. ტყუპისცალმა ისიც დაგვიდასტურა, რომ „ქასიმფაშაში" თანაშემწედ ქართველი სურს...

# შოთა ქასიმფაშაში ქართველი მწვრთნელის მიყვანას აპირებს

**- რას ნიშნავს შენთვის ის, რომ „ქასიმფაშას" გაყვანა ევროსარბიელზეც მოგიწევს?**

- „ქასიმფაშა" პირველად ითამაშებს ევროსარბიელზე, მეც, როგორც მწვრთნელი, პირველად გავიყვან გუნდს ევროტურნირზე. ერთი სიტყვით, ზედმეტია ამ ყველაფრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ეს დიდი პასუხისმგებლობა იქნება.

**- და რამდენად არის „ქასიმფაშა" მზად იმისთვის, რომ ევროპა ლიგის ჯგუფში შევიდეს? აქვს გუნდს საამისო რესურსი?**

- ვნახოთ, გუნდი ჯერ შვებულებაშია, როცა დავიწყებთ მოსამზადებელ ეტაპს, როცა ახალი ფეხბურთელებიც შემოგვიერთდებიან, მერე გამოჩნდება რისი მაქნისები ვიქნებით ევროსარბიელზე.

**- წინა სეზონის სემდეგ „ქასიმფაშაში" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მიიყვანე. რადგან ევროტურნირზე გიწევთ თამაში, კიდევ აპირებ სხვა ფეხბურთელების დამატებას?**

- არა, ცვლილებები აღარ იქნება.

**- ანუ ქართველ ფეხბურთელს ამ ეტაპზეც არ აიყვან?**

- არა, ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია.

**- გავიგეთ, რომ სერიოზულად ფიქრობ „ქასიმფაშაში" ქართველი თანაშემწის მიყვანაზე...**

- მასეა, ამაზე ნამდვილად ვფიქრობ და ვნახოთ...

**- თურქეთის ჩემპიონატში რა მიზანი ექნება „ქასიმფაშას" 2013/14 წლების სეზონში?**

- მხოლოდ საპრიზო ადგილებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- დაბოლოს, „ფონდი არველაძე" რომელ უცხოურ გუნდში აპირებს 17 წლის ლუკა ზარანდიას გაშვებას?**

- ზარანდიას დიდი მომავალი აქვს და მას აუცილებლად დავეხმარებით, ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ფორტუნა ყენიას მხარესაა, ლვოველები დაფიქრდნენ

## ზენიტი ქართველის ეჭვიან მოწინააღმდეგეს შეელევაო

უკრაინული ინტერნეტგაზეთი "ვგოლოს.კომ.უა" ამტკიცებს, რომ **ლევან ყენია** გერმანიაში გაემგზავრა, რათა დიუსელდორფის „ფორტუნასთან" კონტრაქტის დეტალები შეათანხმოს.

*"ყენიას გერმანიაში ყოფნაზე სარწმუნო წყარომ გვაცნობა. წყაროს ცნობით, ქართველმა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს, რის შემდეგაც გაირკვევა, „ფორტუნაში" დარჩება თუ არა"* – წერს გამოცემა.

საქართველოს ნაკრებისა და „კარპატის" ფეხბურთელს კარიერის გაგრძელებას ეს გუნდი რომ სთავაზობდა, არც ლვოველთა ვიცე-პრეზიდენტმა **ვიკტორ ვაცკომ** დამალა. მაგრამ მაშინ ამბობდა, გერმანული კლუბი ქართველის სანაცვლოდ "საცოდავ" 250 ათას ევროს იხდის, როდესაც ყენია საკუთარ თავს 2,5 მილიონ ევროდ აფასებს და ტრანსფერის აზრს ვერ ვხედავო.

*"ჩვენ ყენიას თაობაზე წინადადება გვაქვს და მას განვიხილავთ"* - ახლა ვაცკო სხვაგვარად აჭიკჭიკდა და აქედანაც იგრძნობა, რომ კლუბი ქართველი ახალგაზრდის გაყიდვით დაინტერესდა. ისინი ყენიას კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასს ველარ გადაუხდიან და თუ ასე გაგრძელდა, ყენიას შეუძლია ფიფაში იჩივლოს და კონტრაქტი გაწყვიტოს – ცხადია, მოთამაშის ასე წასვლას "სულ რაღაც 250 ათასი ევრო" ურჩევნიათ.

დიუსელდორფის კლუბი გერმანიას პირველ ბუნდესლიგაში გამოდიოდა, მაგრამ 2013/14 წლების სეზონში ელიტაში ადგილი დაკარგა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა.

აქვე ვიტყვით, რომ ვაცკომ **ბუბა დაუშვილის** შესაძლო ტრანსფერიც ახსენა, ქართველი სულ ამბობს, დაინტერესებული კლუბები გამომიჩნდნენო, მაგრამ, კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავსო.

ამასობაში, რუსული გაზეთი "მოი რაიონ"-ი სანკტ-პეტერბურგის "ზენიტიდან" **იგორ დენისოვის** შესაძლო წასვლას გამოეხმაურა და ლევან ყენიას არშემდგარი ტრანსფერის მიზეზები ახსენა.



ლევან ყენია

*"ამგვარად, "ზენიტის" პიტერელ მოთამაშეთა ბანდა იშლება. მათ გუნდს არაერთი წარმატებება მოუტანეს. მეორე მხრივ, მრავალი კონფლიქტიც გამოიწვიეს, განსაკუთრებით, ფინანსური მოტივებით. ამას გარდა, პიტერული დაჯგუფება ახალწვეულთა მიმართ ეჭვიანობასაც ავლენდა. ამტკიცებენ, რომ ასე მოხდა ქართველი ლევან ყენიას მისვლის დროს. ეს ჯგუფი იმ ახალგაზრდებს უშლიდა ხელს, რომელთაც მწვრთნელი შანსს აძლევდა და "ზენიტში" "დედოვშჩინას" ამკვიდრებდნენ. იმასაც კი აქცევდნენ ყურადღებას, თამაშის ან ვარჯიშის შემდეგ, საშხაპეში პირველი ვინ შევიდოდა"* – წერს "მოი რაიონ".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. საკონტროლო მატჩები

# სიახლეების მოლოდინი

ორ კვირაზე ოდნავ მეტი დრო დარჩა იმ დღემდე, თბილისის „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო მატჩი რომ უნდა ჩაატაროს. ალსანიშნავია, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ხუთწლიანი პაუზის მერე უბრუნდება და მშვენიერი შანსიც აქვს, კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული შედეგი აჩვენოს. ვერაფერს ვიტყვით: წილისყრისას „დინამოს" აშკარად გაუმართლა და გუნდის ერთგული ქომაგები (ალბათ, ისევე, როგორც გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები), წესითა და რიგით, უკვე მომდევნო ეტაპზე უნდა ფიქრობდნენ. ჰო, ახალი რა უნდა ვთქვათ: მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" მეტოქე ფარერების „სტრიეიმური" იქნება თუ ანდორის „ლუზიტანსი", ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს! მოკლედ, საქართველოში ეჭვი არავის ეპარება რომ „დინამო" უპრობლემოდ გააღწევს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე და იქაც ხომ შეიძლება, რომ მეტ-ნაკლებად სასურველი მეტოქე შეგვახვედროს წილისყრამ?!.



ფოტო: fcdinamo.ge

...„სტრეიმურისა" თუ „ლუზიტანსის" პირველი დაპირისპირება მომავალ კვირაშია. მანამდე კი „დინამო" ავსტრიულ შეკრებას განაგრძობს და გუშინ რიგით მესამე საკონტროლო მატჩიც ჩაატარა (ამჯერად - რუმინულ „კლუჟთან"). ადრეც აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ მსგავსი „უცნაური" უცხოური შეკრება „დინამოს" როდის ჰქონდა, ვერც გაგვიხსენებია! მოგეხსენებათ, რომ გუნდების უმრავლესობა სეზონისწინა თუ ზამთრის შეკრებების დროს სპარინგპარტნიორებად, უმეტესწილად, თავისზე სუსტ მეტოქეებს ირჩევს ხოლმე. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის გუნდი საკონტროლო მატჩებს ჯერ ძალიან სუსტ მეტოქესთან ჩაატარებს, მერე უფრო ძლიერთან და შეკრების ბოლოსლა შეიძლება წააპაექროს სოლიდურ მონინაალმდეგეს. აი, „დინამოს" შემთხვევაში კი თავიდანვე ვიცოდით, რომ ავსტრიაში ერთიმეორეზე ძლიერ ოთხ გუნდს უნდა შეხვედროდა: კიევის „დინამოსთან" თუ დონეცკის „შახტართან" ჩატარებული საკონტროლო შეხვედრები რომ უფრო სასარგებლოა, ვიდრე, ვთქვათ, გერმანიის VI თუ VII ლიგის სამოყვარულო გუნდებთან 10-ბურთიანი სხვაობით გამარჯვება, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს. რა თქმა უნდა, სეზონისწინა შეკრებაზე ამა თუ იმ კონკრეტული საკონტროლო მატჩის შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, ისიც ვაღიაროთ, რომ, ალბათ, ბევრს ესიამოვნებოდა თბილისის „დინამოს" მიერ დონეცკის „შახტარის" ძლევა. უკრაინული მართლაც გრანდის ბოლოდროინდელ პროგრესზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ცნობილი რუმინელი სპეციალისტის **მირჩა ლუჩესკუს** დამოძღვრილმა „შახტარმა" ეს საკონტროლო მატჩი, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარა. ერთადერთი, დონეცკელებს ვინც აკლდა, **ჰენრიხ მხითარიანი** იყო, - ეს მართლაც გამორჩეული შემტევი უკვე მერამდენე წელიწადია ევროპული გრანდების სამიზნეშია და სომხეთის ნაკრების ლიდერის რომელიმე ტოპ-კლუბში გადასვლაც არავის გაუკვირდეს. ისე, მხითარიანი თავის კარიერას „დორტმუნდში" გააგრძელებს, „ლივერპულში" თუ „ფიორენტინაში", ეს ნაკლებად უნდა გვაღელვებდეს, - ქართველი ქომაგისათვის საინტერესო ის არის, რომელი გამორჩეული ლეგიონერით გაძლიერდება „დინამო"...

■ ■ ■

ახლა კი „დინამოს" წინასასეზონო მზადების მეორე „უცნაურობაზეც": უკვე მერამდენედ წელიწადია, თბილისურ თუ უცხოურ შეკრებაზე მიჩვეული ვართ პოტენციური უცხოელი ახალწვეულების გამოჩენას. არც იმას დავმალავთ, რომ ხშირად გაგვკვირვებია ამა თუ იმ გასასინჯი ფეხბურთელით „დინამოს" დაინტერესება; კიდევ კარგი, რომ მათი უმრავლესობა პირველივე საკონტროლო მატჩის მერე უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ისეთი ტრანსფერიც მრავლად გვახსოვს, მხოლოდ და მხოლოდ გაკვირვებულნი რომ დავრჩენილვართ: „დინამოში" იმის გამო აიყვანეს, უცხოელები რომ არიანო?.. საბედნიეროდ, სასიამოვნო გამონაკლისიც არაერთი ყოფილა (**ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, დიდიე ოვონო, მიკელ ალვარო, პეტერ გრაიციარი** და, რაღა თქმა უნდა, **ჩისკო**). ამ ბოლო წლებში და „დინამოს" ქომაგები წლევანდელ ზაფხულსაც მოუთმენლად ელოდებიან: ჩემპიონთა ლიგაზე მეტ-ნაკლებად ღირსეული ასპარეზობისათვის, 2-3 სერიოზული ტრანსფერი გუნდს აუცილებლად სჭირდება! თუმცა, ავსტრიულ შეკრებაზე „დინამომ" ორი სპარინგ.-მატჩი ისე ჩაატარა, არც ერთი უცხოელი ახალწვეული გუნდში არ გამოჩენილა; მოკლედ, ასე იყო გუშინდელ დღემდე და სიტუაცია დღესაც იგივეა. ვნახოთ, „დინამოს" ხომ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი აქვს ავსტრიაში...

„დინამომ" თავისი მესამე სპარინგმატჩი ბოლო წლების რუმინული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდთან „კლუჟთან" ჩაატარა. ეს კლუბი რეგულარულად ასპარეზობს ევროტურნირებზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც უთამაშია და სხვათა შორის, სწორედ „კლუჟი" იყო ამ ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პერიფერიული გუნდი, დედაქალაქის დიდი სამეულის („სტიაუა," „დინამო", „რაპიდი") ჰეგემონია რომ დაამხო. ბოლო ხუთ წელიწადში „კლუჟი" სამჯერ გახდა რუმინეთის ჩემპიონი, გასულ სეზონში კი ჩემპიონატში IX ადგილი დაიკავა და ამასთან, თასის ფინალიც წააგო. სწორედ ამის გამოც იყო, რომ სეზონის დამთავრებისთანავე „კლუჟში" უკვე მერამდენე სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა: გუნდის გაძღოლა რუმინეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს და შემდგომში ცნობილ მწვრთნელს **მირჩა რედნიკს** მიანდეს. რედნიკს არაერთი რუმინული კლუბი გაუწვრთნია, რუსეთშიც უმუშავია, აზერბაიჯანშიც და ბელგიაშიც (გასული სეზონი ლიეჟის „სტანდარდში" დაასრულა) და სწორედ მან უნდა დააბრუნოს „კლუჟი" რუმინული ფეხბურთის ლიდერთა მარაქაში. რაც შეეხება „დინამო" - „კლუჟის" საკონტროლო მატჩს, ეს სპარინგ-შეხვედრა ორმხრივი იერიშებით კი წარიმართა, მაგრამ ორივე გუნდის მეკარეები უშეცდომოდ თამაშობდნენ და საბოლოო შედეგიც (0:0) ალბათ, ლოგიკური იყო. **დუშან უჰრინმა** „კლუჟის" წინააღმდეგ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **ლორია (46. ზარქუა), - ხურცილავა (46. სეთურიძე), გ. კვარაცხელია, შაშიაშვილი (65. უსტარიცი), კვირკველია - ე. გრიგალაშვილი (65. ლექვთაძე), პაპავა (46. ხმალაძე), ძარია (78. ხოჭოლავა), მერებაშვილი (74. გლიშიჩი) - ჩისკო, დვალი.**

ავსტრიულ შეკრებას „დინამო" 30 ივნისს დაასრულებს და საქართველოს ჩემპიონის მეტოქე რუსეთის პრემიერლიგის „კრასნოდარი" იქნება.

**გია ტუხაშვილი**

მატჩის შემდეგ

## გიორგი პაპავა: მოგება ორივე გუნდს შეეძლო

ისევე როგორც ავსტრიული შეკრების პირველ შეხვედრაში კიევის "დინამოსთან", ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში იყო ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველი გიორგი პაპავა, რომელიც ახლახან დასრულებულ მატჩზე თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

**- მატჩის წინ რა დავალებები მოგცა უჰრინმა?**

- მითხრა, მეტოქე ხისტი გუნდია, ძალისმიერ ფეხბურთზე აკეთებს აქცენტს და მომამზადა იმისათვის, რომ მოედნის ცენტრში მეც დიდი ბრძოლა მომიწევდა. ჩვენი ამოცანა იყო ბურთის მოედნის ცენტრში დაჭერა. საერთო ჯამში, ვფიქრობ, ორივე გუნდს შეეძლო მოგება.

**- კიევის "დინამოსთან" ჩატარებული და დღევანდელი შეხვედრის შედარებას გთხოვდით...**

- კიეველებთან შეკრების პირველი თამაში იყო და შეთამაშება გვაკლდა. თამაშიდან თამაშამდე გავაუმჯობესებთ ურთიერთგაგებას მოედანზე. ორივე მოწინააღმდეგე დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდია. რუმინელები უფრო ძალისმიერ თამაშს ანიჭებენ უპირატესობას, კიეველები კი ტაქტიკურად ძალიან გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. ეს სპარინგები გვეხმარება, გამოცდილებას გვმატებს და საკუთარ პლუს-მინუსებსაც ადვილად ვამჩნევთ.

## თორნიკე ზარქუა: თანაბარი ბრძოლა იყო

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა დინამოელებმა დღეს მორიგი სპარინგი რუმინულ "კლუჟთან" ჩაატარეს. კირხდორფში გამართული შეხვედრის მეორე ნახევარში ჩვენი გუნდის კარს თორნიკე ზარქუა იცავდა, რომელსაც მატჩის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ.

- არ ვნერვიულობდი. ვფიქრობ, დამაჯერებლობა არ მაკლდა.

**- ერთ-ერთ ეპიზოდში ტკივილმა შეგაწუხა და დახმარება ითხოვე, სერიოზული ხომ არაფერია?**

- არაფერი განსაკუთრებული. ბურთზე ვერ ავხტი, ცოტა უხერხული მოძრაობის გაკეთებამ მომინია და ფეხი ცუდად დავდგი. სერიოზული არაფერია, ტკივილი აღარ მაწუხებს.

**- საინტერსო თამაში გამოვიდა, საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავდა...**

- კარგი გუნდია, განვლილ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშეს. ჩემი აზრით, თანაბარი ბრძოლა იყო. ცოტა ზედმეტად ხისტიც. შედეგი ლოგიკური იყო.

**- შეკრებასა და სპარინგებზე რას გვეტყვი?**

-კარგი პირობებია. ძალიან ძლიერ გუნდებთან გვიწევს თამაში. ყველაფერია იმისათვის, რომ ოფიციალურ შეხვედრებში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

www.fcdinamo.ge

ტორპედო

# უბოლოდ სლოვაკებთან



ჟერარდ სარაგოსა

ქუთაისის "ტორპედო", რომელიც სეზონისწინა შეკრებაზე ავსტრიაში იმყოფება, რიგით მესამე საკონტროლო მატჩში სლოვაკურ "პოდბრეზოვას" დაუპირისპირდა. შეგახსენებთ, ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იმერული კლუბის მეტოქე სლოვაკური "ჟილინა" იქნება და ამიტომაც გუშინდელი შეხვედრა საკმაოდ საინტერესო იყო.

მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა, "ტორპედოს" შემადგენლობა კი ასეთი იყო: **მიგინეიშვილი (46. ქვილითაია), ტაბატაძე (46. გაბაძე), ნ. ჭანტურია, ზ. ჭელიძე (46. სანდოხაძე), ჩიტეიშვილი (46. უბილავა), ცინცაძე, გოროზია (46. მზევაშვილი), გიგაური, კუხიანიძე, ფანცულაია, რ. ბარაბაძე (46. მარკოზაშვილი).**

შეგახსენებთ, პირველ ავსტრიულ სპარინგში "ტორპედო" ავსტრიულ "გრიოდიგთან" 1:5 განადგურდა, რის შემდეგაც სლოვაკურ "კოშიცესთან" 2:3 დამარცხდა. ამ ორი მატჩის შესახებ "ტორპედოს" ესპანელმა მთავარმა მწვრთნელმა **ჟერარდ სარაგოსა მულეტმა** კლუბის ვებგვერდთან საუბარში შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*"ეს ამხანაგური თამაშები მნიშვნელოვანი იყო. უნდა გვენახა, თუ როგორ იყვნენ ფეხბურთელები მზად, როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკურად, ამიტომ უმეტესი მათგანი გამოვცადეთ. გასულ მატჩებში ნათლად გამოჩნდა ჩვენს თამაშში ხარვეზები, რაც ბუნებრივი იყო, რადგან გუნდმა ასეთი შემადგენლობებით პირველად ითამაშა.*

*ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდი ერთ ოჯახად ყალიბდება. იმედია, გაწეული სამუშაო დაგვიფასდება და დროის სიმცირის მიუხედავად, 4 ივლისისთვის სათანადოდ ვიქნებით მზად.*

*რაც შეეხება ევროპის ლიგაზე ჩვენს მეტოქეს, სლოვაკეთის „ჟილინა" საკმაოდ ძლიერი და დიდი ევროპული გამოცდილების მქონე გუნდია, მიუხედავად ამისა, „ტორპედოს" მიზანი არის გამარჯვება და გულშემატკივრების გახარება. ჩვენს გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ გაიაროს პირველი ეტაპი".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან ფხაკაძე

## ლევან ფხაკაძე: ხელისუფლება გადაწყვეტილებას უცებ ვერ მიიღებს

ნიონში გამართულ წილისყრაზე ქართული გუნდებიდან ყველაზე სოლიდური მეტოქე ქუთაისის „ტორპედოს" შეხვდა - 2010/11 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მონაწილე სლოვაკური „ჟილინა". ცხადია, ჟილინელებს ახლა მაშინდელი დონის გუნდი აღარ ჰყავთ, მაგრამ „ტორპედოსთვის" მაინც რთული დასაძლევი მეტოქე ჩანს, მით უფრო შემადგენლობის მეტისმეტი გაახალგაზრდავების ფონზე.

გუნდის პრეზიდენტი, კომპანია "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლევან ფხაკაძე** კი დარწმუნებულია, რომ სლოვაკებს ბრძოლას გაუმართავენ: *"ლიგის ჯგუფური ეტაპის მონაწილეობა და სლოვაკეთის 7-გზის ჩემპიონობა "ჟილინას" დონეზე მეტყველებს. მართლაც ძლიერი მეტოქე შეგვხვდა და ცხადია, გაგვიჭირდება. მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ეტაპი გადავლახოთ და ახალგაზრდა ბიჭებით ეს გამოცდა წარმატებით ჩავაბაროთ. საერთოდ, ძალიან რთული გზა გვაქვს გასავლელი. მაგრამ ჩვენი არჩევანის სისწორეში დარწმუნებული ვარ – ქუთაისის "ტორპედოში" მომავლის გუნდს ვაშენებთ და ადრე თუ გვიან, ეს გზა შედეგებს მოგვიტანს. ჩვენი გუნდისა და ქართული ფეხბურთის მომავლისთვის სხვა არჩევანი არ გვქონდა".*

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** უმაღლესი ლიგის კლუბებს გარკვევით უთხრა, რომ სახელმწიფოსგან 2 მილიონი ლარის მიღებას ტყუილად იმედოვნებენ. მას შემდეგ კლუბების თავკაცთა აქტიურობა აღარ შეინიშნება. ხომ არ შეჩერდა ეს პროცესი?

*"აქტიურობა ნამდვილად არ შეგვიწყვეტია. ჩვენ ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცით, საბოლოოდ, სახელმწიფო რა პოზიციას დაიკავებს. ისიც კარგად გვესმის, რომ ხელისუფლება ყველა საჭირო გადაწყვეტილებას ერთ დღეში ვერ მიიღებს, ამას ხანგრძლივი ფიქრი სჭირდება. თუმცა, იმედია, ფეხბურთის განვითარებისა და წინსვლისთვის აუცილებელ გადაწყვეტილებებს მალე მიიღებენ. 2-3 გუნდის მყარი ფინანსური მდგომარეობა საინტერესო ჩემპიონატის წინა პირობად ვერ გამოდგება. საქართველოში მეტი გუნდი არც მოიძებნება, რომელიც მომდევნო ჩემპიონატში მონაწილეობის მყარ გარანტიას წარადგენს. ადრე თუ გვიან, ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი სპონსორი მოვიზიდოთ. და თუ ეს მოხდა და ყველა კლუბს კერძო მეპატრონე ეყოლება, სულ სხვა ჩემპიონატს მივიღებთ. ეს არის ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი ერთადერთი სწორი გზა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროფინალამდე. წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# გაბრიელ თებიძე:
# მეტოქეზე კი არა, წარმატებაზე ვფიქრობთ

**საქართველოს ეროვნულ თუ ასაკობრივ ნაკრებებს ძლიერი მეკარე ბევჯერ ჰყოლია, მაგრამ გამორჩეულები - იშვიათად. თუმცა ბოლო დროს ეროვნულშიც და ასაკობრივშიც ასეთები გამოჩნდნენ. მაგალითად, ბელგიაში გამართულ ელიტრაუნდის მატჩებზე გაბრიელ თებიძემ დაამტკიცა, რომ ეროვნულ ნაკრებს საიმედო მეკარე ეზრდება. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, ჩვენი 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ გავიდნენ: თებიძემ ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, შოტლანდიასთან კი პენალტი საჭირო დროს მოიგერია! 1:0-ს ვიგებდით და ესპანელმა არბიტრმა კაცი გაგვიგდო - სავსებით შესაძლებელი იყო, მეტოქეს ანგარიში გაეთანაბრებინა და მერე მშვიდობით ევროფინალი... ვინ გაამტყუნებდა თებიძეს?!**



თავიდან გაგვიჭირდა, ამხანაგურებში ჯერ პოლონეთთან წავაგეთ და საწყისი ორი მატჩი პორტუგალიის ტურნირზეც დავთმეთ – მასპინძლებთან და სერბეთთან. მაგრამ მესამე შეხვედრა რუსეთს მოვუგეთ, ელიტრაუნდამდე კი – სერბეთს. ამან ძალიან კარგად იმოქმედა და ბელგიაში იმედიანად წავედით. მივხვდით, რომ შეტევა და წარმატების მიღწევა შეგვეძლო.

## გამორჩეული ეპიზოდი კარიერაში

ელიტრაუნდში, შოტლანდიასთან შეხვედრამდე, ცეცაძემ სიფრთხილე გვირჩია. იმდენი ყვითელი ბარათი გვქონდა, შეიძლებოდა, შემდეგი შეხვედრა ნებისმიერ ჩვენგანს გამოეტოვებინა.

მაგრამ დაიწყო შეხვედრა და მეტოქესთან ერთად, მსაჯიც გვიტევდა - ყვითელი ბარათები აჩვენა კაჭარავას, მთივლიშვილს, ენდელაძეს, არაბულს, სანდოხაძეს, მერე მთივლიშვილი და არაბული გაგვიძევა. საერთოდ, ესპანელი არბიტრი ძალიან ცუდად გვექცეოდა და აშკარად გვჩაგრავდა.

თამაშს ყველაზე მშვიდად მე ვუყურებდი. ამ დროს ჩვენს კარში პენალტი დანიშნა და ესპანელის უსამართლობამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ძალიან რთული მომენტი იყო. მთელი გუნდი იმედით მიყურებდა და პენალტი უნდა ამეღო. სხვა გამოსავალიც არ იყო, ვერ გეტყვით, რა და როგორ მოხდა. ერთი ეს მახსენდება: მარკ ბეკმა დაარტყა, რომელსაც შევატყვე, რომ ძალიან ნერვიულობდა, ბურთთან აღელვებული მივიდა და მეც, რატომღაც იქით გადავხტი, სადაც დაარტყა. ნერვიულობის გამო, სუსტად გაისროლა და ავუღე.

ძალიან დიდი სიხარული იყო – ბიჭებმა იწვალეს და მეც დავეხმარე და გამარჯვებაში პატარა წვლილი შევიტანე. ეს აღებული პენალტი ჩემს კარიერაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

### დოსიე

**გაბრიელ თებიძე**

დაიბადა: 1994 წლის 10 ნოემბერს (18 წლის)
პოზიცია: მეკარე
სიმაღლე: 185 სმ; წონა: 79 კგ

**საკლუბო კარიერა**

2012: რუსთავის "მეტალურგი 2"
2012/13: "ჩიხურა 2"

**სანაკრებო კარიერა**

| | |
|---|---|
| საქართველო U-17 | 6 |
| საქართველო U-19 | 6 |

სანაკრებო დებიუტი:
ევროპის U-17 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
18.10.10 საქართველო 2:1 პოლონეთი

## დიდი გზის დასაწყისი

ფეხბურთი ძალიან მიყვარდა და 7 წლისა "ნორჩ დინამოელში" მიშა პირადაშვილთან შევედი. 8 თუ 9 წლის ვიყავი, როდესაც "ოლიმპში" თემურ ფოცხვერიასთან გადავედი. ბოლოს კი გუბაზ დოლიძესთან ვვარჯიშობდი, რომელსაც გუნდი ჯერ 35-ე სკოლაში ჰყავდა, ბოლოს კი - "ოლიმპში".

საკლუბო კარიერაზე რა გითხრათ, სულ ჭაბუკებში ან დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი. სისტემატურად სათამაშო პრაქტიკა მხოლოდ ელიტლიგაში "ოლიმპის" შემადგენლობაში და "მეტალურგის" დუბლებში მქონდა. ბუნებრივია, სულ სხვაა სანაკრებო მატჩები, მაგრამ ტონუსს ვინარჩუნებდი და დარწმუნებული ვარ, ეს ელიტრაუნდშიც დამეხმარა.

რუსთავის "მეტალურგის" განაცხადში სულ 6-ჯერ მოვხვდი, 3-ჯერ კი – ევროპის ლიგის განაცხადში. მაგრამ 2012 წელს გუნდი დავტოვე და შემოდგომაზე "ჩიხურას" დუბლშემადგენლობაში მიმიწვიეს.

ყველა ასაკობრივ ნაკრებში მითამაშია, 13-წლამდელების გარდა.

## შეტევამ გაგვხსნა

ელიტრაუნდში პირველად კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელებში ვითამაშე. თბილისმა მაშინ შესარჩევ ციკლს პირველად უმასპინძლა. თანაც, ინგლისი, შვედეთი და პოლონეთი ჩამოვიდა, ხალხიც დაინტერესდა და "დინამო-არენაზე" საკმაოდ ბევრი მაყურებელი მოვიდა. პატარა სტადიონებზე თამაშს შეჩვეულებისთვის უცებ დიდ არენაზე გადასვლა რთულიც იყო. მაგრამ 15-16 წლის ბიჭებმა ამდენი გულშემატკივარი რომ დავინახეთ, ძალა მოგვეცა და რაც შეგვეძლო, ვაჩვენეთ.

ბელგიაში სერიოზული მეტოქეები გვყავდა. მაგრამ ემიგრანტები მოდიოდნენ და ისე გულიანად გვამხნევებდნენ, რომ ეს ბიჭებსაც გადაგვედო და ნამდვილი ქართველების მეომარი სულისკვეთება გამოავლინეს.

როდესაც ნაკრებში გია ცეცაძე მოვიდა, თამაშის სტილი რადიკალურად შეცვალა, მთელი გუნდი შეტევაზე გადაიყვანა და ამან ბიჭებზე კარგად იმოქმედა. მივხვდით, რომ შეტევა შეგვეძლო. თანაც, ძნელია, დაცვაში რომ ზიხარ და კონტრშეტევების მოლოდინით თამაშობ.

## ტორპედოში წასვლა არ ვიჩქარე

ახლა "ჩიხურასთან" ერთად ვემზადები. ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლის შანსი მქონდა, მაგრამ არ ავჩქარდი. ჩემი კარიერისთვის ევროპულ კლუბში გადასვლა უკეთესი იქნება. ჯერ ასეთი წინადადება არ მიმიღია. მაგრამ მირჩევნია, ევროპის ჩემპიონატის დასრულებას დაველოდო. ვითამაშებ და იქნებ, ევროპაში საინტერესო წინადადება გამოჩნდეს.

სკოლა უკვე დავამთავრე, მაგრამ სამწუხაროდ, ფეხბურთს იმხელა ენერგია და დრო მიაქვს, რომ სწავლის გასაგრძელებლად ჯერ ვერ მოვიცალე. არადა, ცუდი არ იქნებოდა.

ევროფინალისთვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ვემზადები. მთავარია, მაღალ დონეზე თამაშს უკვე შევეჩვიეთ. ტურნირს საფრანგეთთან მატჩით ვიწყებთ. ის ჯგუფის ფავორიტია და ამ ქვეყანას ყოველთვის ძლიერი ასაკობრივი ნაკრებები ჰყავდა. მაგრამ ქართველი ქომაგის გახარებაზე ვფიქრობთ და არა მეტოქის ტრადიციებზე. ეს კი დიდი სტიმულია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



# როდის დაბრუნდება მათე ვანაძე?

**საფრანგეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩიდან ერთ კვირაში, 25 მარტს დანიის სუპერლიგაში "ნორდსიელანდმა" "ორჰუსს" უმასპინძლა. შეხვედრის 31-ე წუთზე მასპინძელთა მცველთან, ჟორეს ოკორესთან (რომელიც დანიის ნაკრების წევრია და ახლა "ასტონ ვილაში" გადავიდა) ორთაბრძოლაში მათე ვანაძემ სერიოზული ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს.**

**ექიმმა მათეს მძიმე დიაგნოზი დაუსვა – კოჭის მოტეხილობა, რაც ძალიან მძიმე სამკურნალოა და დასვენება ნახევარი წლით მოუწევს.**

**ეს ქართველი გულშემატკივრისთვის სამწუხარო ამბავი იყო, რადგან საქართველოს ეროვნული ნაკრების 24 წლის თავდამსხმელი დამაიმედებლად ათამაშდა და თემურ ქეცბაიას გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმკვიდრებდა. ვანაძემ დანიის სუპერლიგის დასრულებულ სეზონში 14 მატჩში 3 გოლი გაიტანა, ეროვნულ ნაკრებში კი 6-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი მიითვალა.**

**როდის დაუბრუნდება მათე ვანაძე მოედანს? ამის დასადგენად თავდამსმელს დანიაში შევეხმიანეთ:**

- ყველაფერი ძალიან ცუდად აეწყო. იმ მატჩის დროს თოვდა, ციოდა; ხელოვნურ საფარზე ვთამაშობდით და ფეხი ცუდად გამისრიალდა, ოკორემ კი კოჭზე ფეხი შემთხვევით დამაბიჯა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი. 3 თვე მოძრაობაც არ შემეძლო. ახლა მკურნალობა დავასრულე და დღეს პირველად ვივარჯიშე. მაგრამ ჯერ მოედანზე დაბრუნებაზე ლაპარაკინაადრევია. მკურნალობის პროცესი კარგად მიმდინარეობს, მაგრამ მთავარი რეაბილიტაციაა და სიჩქარე არაფერს მარგებს. ეგაა, ვარჯიში რომ დავიწყე, ჯერ ფეხებში ძალას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. მაგრამ მაიმედებენ, რომ მოედანს შემოდგომაზე დავუბრუნდები და კოჭის ტკივილი აღარ შემაწუხებს.

**- ეს როდის მოხდება?**

- სავარაუდოდ, სექტემბერში.

**- ეს მერამდენე მძიმე ტრავმაა შენს კარიერაში?**

- მგონი, მესამეა თუ მეოთხე, ტრავმებმა ძალიან გამაწვრთნა. სხვათა შორის, კოჭის მოტეხილობა ჯვარედინი იოგების განყვეტაზე არანაკლებ სერიოზული სამკურნალოა და ხანგრძლივ მკურნალობასაც საჭიროებს. ამიტომ, არსად ვჩქარობ.

**- გორის "დილას" მეტოქე ისევ დანიური კლუბი, ამჯერად, "ოლბორგი" იქნება. რა გუნდია, რა ფეხბურთს თამაშობს?**

- კარგი, მოძრავი გუნდია. ჯანიანი მოთამაშეები ჰყავთ და ამავე დროს, აზრიან ფეხბურთს აჩვენებენ. სწრაფი კონტრშეტევები ეხერხებათ და ბურთიც კარგად იციან. ასე რომ, "დილას" საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე შეხვდა. მაგრამ ევროსეზონს "ოლბორგი" დიდი დანაკლისით დაიწყებს: გუნდის ლიდერი, ცენტრალური თავდამსხმელი ნიკლას ჰელენიუსი, რომელიც დასრულებულ სეზონში ბომბარდირებში მე-2 ადგილზე გავიდა, "ასტონ ვილაში" გაყიდეს.

მათე ვანაძის მდგომარეობაზე კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე "ორჰუსის" ექიმმა **იაკობ ასტრუპმა** ილაპარაკა: *„მკურნალობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მათე სირბილს შემდეგ კვირაში დაიწყებს. აღდგენის პროცესი კარგად მიმდინარეობს და თუ ყველაფერი კარგად იქნება, სექტემბერში თამაშსაც შეძლებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# აქცია ყრილობამდე

დღეს სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა გაიმართება, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაირკვევა. "ზესტაფონის" გულშემატკივრებისთვის კი უმთავრესი სატკივარი საყვარელი კლუბის ბედია, რომლის მომავლის შესახებაც დამაიმედებელი ინფორმაციები კვლავ არ ისმის.

დღეს დილის 11 საათიდან "ზესტაფონის" ქომაგები "ჰოლიდეი ინთან" შეკრებასა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას გეგმავენ.

ცნობილი იყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების გამო "ზესტაფონს" გარკვეული პრობლემების წარმოქმნის საშიშროება ემუქრებოდა. ახლა კი გაირკვა, რომ კლუბის საბანკო ანგარიშებს ადევს ინკასო და კლუბის მთელი ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობა-იპოთეკით. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, "ზესტაფონმა" ზესტაფონის მუნიციპალურ ორგანოებს მიმართა თხოვნით, რათა მათი დახმარებით სტადიონ "დავით აბაშიძისა" და კლუბის ბაზაზე საფეხბურთო მოედნების გადარჩენა მოხერხდეს.

"ზესტაფონმა" ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ **ნუგზარ ქამუშაძესა** და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ მასხარაშვილს** ოფიციალური წერილი გაუგზავნა (სტილი დაცულია, რედ.).

*"სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების გამო საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონის" საბანკო ანგარიშებს ადევს ინკასო და კლუბის მთელი ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით.*

*აქვე გაცნობებთ, რომ დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე და საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" ბაზაზე ელექტროენერგიის გადასახადი 2013 წლის მაისის თვეში ირიცხება შესაბამისად 770.19 და 1505.72 ლარის ოდენობით (სულ – 2275.91 ლარი).*

*როგორც მოგეხსენებათ 2013 წლის 27 ივნისამდე აღნიშნული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შეწყდება ელექტროენერგიის მიწოდება ორივე ობიექტზე და შეუძლებელი გახდება სარწყავი სისტემების ამუშავება, რის გამოც დავით აბაშიძის სახელობის სტადიონისა და ბაზის ოთხივე საფეხბურთო მინდორი გახდება უვარგისი.*

*ზემოხსენებული უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მოგმართავთ თხოვნით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან გამოიყოს თანხა 2275.91 (ორი ათას ორას სამოცდათხუთმეტი ლარი და 91 თეთრი) ლარის ოდენობით აღნიშნული დავალიანების დასაფარად".*

ზესტაფონის საკრებულოს სხდომაზე ერთ-ერთი უმთავრესი თემა "ზესტაფონში" შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა იქნება. შეგახსენებთ, "ზესტაფონი" ერთადერთი უმაღლესლიგური კლუბია, რომელსაც მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბის მომავალი ყოველდღიურად უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. იკერ კასილიასი

# დაბრუნებული ღიმილი

## უკვე სულ სხვა იკერ კასილიასი ვარ

**2012/13 წლების** სეზონი ყველაზე უცნაური იყო 32 წლის იკერ კასილიასის კარიერაში. ზამთარში მან ხელი მოიტეხა, დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ ადგილისთვის ბრძოლა მოუწევდა. ასე დარჩა „რეალის" კაპიტანი და ლეგენდა თითქმის 5 თვე უთამაშებელი. აქამდე არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი, რომ კარში იკერი უნდა მდგარიყო.

ესპანეთი-იტალიის ნახევარფინალური მატჩის წინ მას ფიფას ოფიციალურმა საიტმა ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც იკერმა სხვა საკითხებთან ერთად, მისი კარიერის ყველაზე ბნელ დროებაზეც ილაპარაკა.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ამდენი ხნის შესვენების შემდეგ ისევ კარში ჩადექით, მართლა ხელახალი დებიუტივით იყო?**

- ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ზუსტად ის შეგრძნება, რაც დებიუტისას მქონდა, მაგრამ ძალიან კი ჰგავდა. როდესაც 5 თვე არ თამაშობ, ძნელია, საჭირო დროს საჭირო ფიქრებს მოუყარო თავი. ამ დროს გეხმარება, როცა გვერდში ვინმე დაგიდგება გად შეხორცდა, მგონი, ხელს ახლა უკეთ ვხმარობ.

**- დაბრუნდით და თავი სათადარიგოთა სკამზე აღმოაჩინეთ, როგორ გაძელით ეს პერიოდი?**

- მხოლოდ გუნდზე ფიქრით და გუნდისთვის საუკეთესოს სურვილით გავძელი. არადა, ჩემთვის ვტიროდი, ვიტანჯებოდი, ცუდად ვიყავი და ცუდად მეძინა, ხანდახან ღამეებს ვათენებდი. მაგრამ მე ვარ „მადრიდისტა" და ყველაფრის წინ, მწვრთნელის, პრეზიდენტის, დირექტორების, თუნდაც საკუთარი თავის, ვაყენებ „რეალს".

**- იმ პერიოდში ბევრმა გამოხატა თქვენი მხარდაჭერა...**

- ტრავმაც ჩემთვის ახალი გამოცდა იყო, ამიტომ ძალიან მსიამოვნებდა, როცა ხალხი ჩემ მხარდაჭერას გამოხატავდა. როცა არ თამაშობ, სხვა გამოსავალი არაა - უნდა კიდევ უფრო მეტი იშრომო, ივარჯიშო და დაამტკიცო, რომ თამაშის ღირსი ხარ.

**- ოდესმე თუ გიფიქრიათ „რეალის" დატოვებაზე?**

- მე მინდა კარიერის „რეალში" დასრულება, მაგრამ ვერ გამოვრიცხავ, რომ ერთხელაც მოვა მწვრთნელი, რომელსაც არ დავჭირდები. მხოლოდ ამის შემდეგ დავფიქრდები სხვაგან გადასვლაზე. ვიმეორებ, „რეალი" ჩემთვის პირველია. ამ კლუბმა ყველაფერი მომცა ცხოვრებაში, თუნდაც ის, რომ ახლა ეროვნული ნაკრების მაისურა მაცვია და თქვენ წინაშე ვდგავარ.


იკერ კასილიასმა კარიერის უცუდესი პერიოდი უკან მოიტოვა და გამარჯვებული დაბრუნდა

**მინი დოსიე**

**იკერ კასილიასი**

**ასაკი:** 32
**სიმაღლე:** 184 სმ
**კლუბი:** რეალი
**ნაკრებში:** 146 მატჩი (იტალიასთან მატჩამდე)
**დებიუტი:** შვედეთი-ესპანეთი, 2000 წლის 3 ივნისი

**- რას ნიშნავს თქვენთვის კონფედერაციათა თასი?**

- ძალზე მნიშვნელოვანი ტურნირია, ფინალში რომ ვერ გავიდეთ, კრიტიკოსები იტყვიან, რომ ძველი გუნდის ჩრდილილა ვართ, გავალთ და ჩაგვითვლიან ჩვეულებრივ სამუშაოდ, თითქოს, ვალდებულებიც კი ვიყოთ, მაგრამ ეს ზეწოლა ჩვენვე შევქმენით წლების განმავლობაში მაღალი მიზნების მიღწევით. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ესპანეთის ნაკრები არ იღლება ფეხბურთისგან და ყოველთვის მოგება სურს. თუმცა ალბათ ის დროც მოვიდა, როცა ზენიტზე ყოფნა მუდმივად ძალიან ძნელი შესანარჩუნებელია.

- მე კი გამიმართლა, რომ ასეთი კარგი მწვრთნელი და თანაგუნდელები მყავს ნაკრებში, მათ ბევრი რამ გამიადვილეს. მეკარეს თავდაჯერებას მხოლოდ თამაში მატებს, როცა ხედავ, რომ გენდობიან, ეს ძალიან გეხმარება.

**- ამიტომაც თქვენთვის განსაკუთრებული იქნებოდა ურუგვაისთან მატჩში ბურთთან პირველი შეხება...**

- მე მჯერა, რომ ბურთთან პირველი შეხება თითქმის ყოველთვის განსაზღვრავს, როგორ წარიმართება ის შეხვედრა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა. ვიცოდი, რომ ჩემ მიმართ ინტერესი დიდი იყო. ამიტომ გადავწყვიტე, არაფერზე არ მეფიქრა, მხოლოდ კარგად მეთამაშა.

**- ესპანეთის ნაკრების ყოველ ტრიუმფს ამშვენებს თქვენი ფოტო კაპიტნის სამკლავურით და თასით ხელში. ბოლო დროს არ გაგიჩნდათ შიში, რომ მსგავსი აღარ განმეორდებოდა?**

- როცა გოლკიპერს ექიმი ეტყვის, რომ ხელი მოიტეხა, ასეთი ეჭვი ბუნებრივად ჩნდება. საბედნიეროდ, რეაბილიტაციის პროცესმა მოსალოდნელზე ცოტა დრო წაიღო. კარგად ვიცოდი, რომ კლუბში უთამაშებლობა, ჩემს სანაკრებო შანსებსაც ამცირებდა. მაგრამ ვისენტე დელ ბოსკე მუდმივად ინტერესდებოდა ჩემი მდგომარეობით. საბედნიეროდ, მოტეხილობაც საოცრად კარგად შეხორცდა, მგონი, ხელს ახლა უკეთ ვხმარობ.

> ვტიროდი, მტკიოდა, ღამეები არ მეძინა, მაგრამ რეალისთვის ვითმენდი

**- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, რომ 2014 წლის მუნდიალზე ესპანური ფეხბურთის ერა დასრულდეს მსოფლიო ფეხბურთში?**

- ჩვენი მომდევნო თაობა ტიტულს ტიტულზე იგებს. დელ ბოსკე მუდმივად აძლევს შანსს ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეროვნულ ნაკრებში. ისიც მართალია, რომ გუნდის ნაწილი უკვე ასაკშია და ნაწილს წასვლა მოგვიწევს, მაგრამ ესპანურ ფეხბურთს საფრთხე არ ემუქრება: ძალიან კარგი თაობები მოდიან.

**- დაბოლოს, ახლა ისევ ბედნიერი ხართ?**

- დიახ, ჩემი ღიმილი დავიბრუნე. ყოველთვის ძნელია, როცა ცხოვრებაში მანამდე უცნობ სერიოზულ პრობლემას გადაეყრები, მაგრამ ეს უკვე გადავლახე და შემიძლია გითხრათ, რომ უკვე სულ სხვა იკერ კასილიასი ვარ.

● ტრანსფერი



**დოსიე**

**ფრანსისკო რომან ალარკონ სუარესი**

**დაიბადა:** 1992 წ. 21 აპრილი
**დაბ. ადგილი:** ბენალმადენა (მალაგა)
**პოზიცია:** შემტევი ნახევარმცველი
2006-2011 - ვალენსია
2011-2013 - მალაგა
2013-დან - რეალი
ესპანეთის ნაკრები: 1 თამაში

ისკო ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია

# ოფიციალურად: ისკო რეალის ფეხბურთელია

## 5-წლიანი კონტრაქტი და 24 მილიონი ევრო

**გუშინ** მადრიდის „რეალის" ოფიციალურმა საიტმა გამოაცხადა, რომ კლუბმა „მალაგას" 21 წლის ნახევარმცველი **ისკო** შეიძინა.

*„კლუბმა შეიძინა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტი, 2012 წლის „ოქროს ბიჭის" ლაურეატი ისკო, რომელმაც ახლახან ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო"*, - ვკითხულობთ საიტზე.

ფრანსისკო (აქედან, ისკო) რომან ალარკონი მომავალ 5 სეზონს „სამეფო კლუბში" გაატარებს.

ოთხშაბათს, 3 ივლისს ისკო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მას „სანტიაგო ბერნაბეუზე" წარადგენენ. „ლევერკუზენიდან" **დანი კარვახალის** დაბრუნების შემდეგ, ისკო „რეალის" მეორე შენაძენია ამ ზაფხულს.

სატრანსფერო თანხაზე „რეალის" საიტი არაფერს იუწყება, თუმცა „ტოდომერკადოს" ცნობით, „მალაგას" ხაზინა 24 მილიონი ევროთი შეივსო.

### ხახამშრალი ვალენსია

ისკოს თავბრუდამხვევი კარიერა უპირველესად „ვალენსიას" მენეჯმენტს უნდა აღარდებდეს, რომელმაც ამ ფეხბურთელში მომავლის დიდი ტალანტი ვერ დაინახა - ის ხომ 14 წლის ასაკიდან „ვალენსიას" ახალგაზრდული სისტემის პროდუქტია. „ლოს ჩეს" პირველ გუნდში ისკოს დებიუტი 2010 წელს ჰქონდა ესპანეთის თასზე. მან დებიუტი დუბლით აღნიშნა. 2011 წლის ზაფხულში „მალაგამ" გამოიყენა ისკოს კონტრაქტში ჩაწერილი პირობა, ის 6 მილიონ ევროდ გამოისყიდა და მისი კარიერაც გაიფურჩქნა: იმ სეზონში ისკომ ლა ლიგაში 32 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 5 გოლი გაიტანა. სეზონის ბოლოს ის ლა ლიგის 2011/12 წლების სეზონის აღმოჩენად დაასახელეს. წლის ბოლოს კი მას ევროპის „ოქროს ბიჭის" ტიტული მიენიჭა, როგორც კონტინენტის ყველაზე დიდ ტალანტს. ისკომ გამოკითხვაში **სტეფან ელ შაარავისა** და **ტიბო კურტუას** აჯობა.

წლეულს, იანვარში ისკომ „მალაგასთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომელშიც გამოსასყიდ თანხად 35 მილიონი ევრო ჩაიწერა. სავარაუდოდ, „რეალმა" წარმატებულად ივაჭრა და ამ თანხაზე 11 მილიონით ნაკლები გადაიხადა.

17 ივნისს ისკომ განაცხადა, რომ ორი წინადადება აქვს: „მანჩესტერ სიტიდან" და „რეალიდან", საბოლოოდ „სამეფო კლუბმა" იმარჯვა და ესპანეთის პირველობამ მორიგი ტალანტი აღარ დაკარგა.

ნახევარმცველმა ახლახან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში იზეიმა ტიტული.

● რეალი

# ანჩელოტის არ სჯერათ

**მადრიდულმა** „დიარიო AS-მა" „რეალის" ფანების გამოკითხვა მოაწყო. გაზეთს აინტერესებდა, რამდენად ენდობა ინჩადა ახალ მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის.** აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარს იტალიელი თავკაცის იმედი არ აქვს. კარლო ანჩელოტის გამოკითხულთა 54% ენდობა.

შეგახსენებთ, რომ 54 წლის ანჩელოტი 26 ივნისს გახდა „სამეფო კლუბის" ახალი თავკაცი, მან „რეალთან" 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ანჩელოტის ერთ-ერთ ასისტენტად ლეგენდარული ზინედინ ზიდანი იმუშავებს.


კარლო ანჩელოტი

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.:514 933 933
ქუთაისი, ქვიტირი ტელ.: 514 923 923
www.tuv.com TÜV ID:1000000000

ამბები


ანდრეი არშავინი

## არშავინი დაბინავდა

გულშემატკივრები **ანდრეი არშავინის** „არსენალიდან" გაშვებას ჯერ კიდევ 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ითხოვდნენ, მაგრამ **არსენ ვენგერმა** მაშინ რუს ვეტერანს კიდევ ერთი შანსი მისცა და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ შეცდა. 32 წლის ფეხბურთელი უკანასკნელ სეზონში კიდევ უფრო სუსტად გამოიყურებოდა, მოედანზე სულ 7-ჯერ გავიდა (ყველა შეცვლაზე) და გუნდისთვის სარგებელი არ მოუტანია. კონტრაქტის დასრულების შემდეგ არშავინი სათამაშოდ „ზენიტში" დაბრუნდა და მასთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, მისი ანაზღაურება 2,5 მილიონი ევრო იქნება. *„მინდა უბრალოდ ვითამაშო ფეხბურთი, თანაც ჩემს მშობლიურ ქალაქში. არ ვიცი, რამდენად დამეხმარება ამ მხრივ „ზენიტში" დაბრუნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების იმედიც მაქვს,"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

## 77 მილიონი აგენტებისთვის

როცა ინგლისის პრემიერლიგაში საქმე ფულის ხარჯვას ეხება, იოლი გამოსაცნობია, რომ სიაში პირველ ადგილზე „მანჩესტერ სიტი" იქნება. ასეა ამჯერადაც. „დეილი მეილმა" მკითხველს კლუბების მიერ აგენტებისთვის გადახდილი თანხების შესახებ ანგარიში ჩააბარა. ალმოჩნდა, რომ სულ ამ საქმეში 77 მილიონი ფუნტი დაიხარჯა, რაც 6 მილიონით მეტია, ვიდრე 2011/12-ის სეზონში. სრულ სიას უკომენტაროდ გაგაცნობთ:

**1. „მანჩესტერ სიტი" - 10,5 მილიონი ფუნტი; 2. 2. „ლივერპული" - 8,6; 3. „ქუინზ პარკი" - 6,8 4. „ტოტენჰემი" - 6,5; 5. „ჩელსი" - 6,4; 6. „არსენალი" - 5,5; 7. „ვესტ ჰემი" - 4,4; 8. „მანჩესტერ იუნაიტედი" - 3,6; 9. „ნიუკასლი" - 3,4; 10. „ევერტონი" - 3; 11. „ასტონ ვილა" - 2,7; 12. „ფულჰემი" - 2,5; 13. „სანდერლენდი" - 2,1; 14. „რედინგი" - 2,1; 15. „უიგანი" - 1,9; 16. „სტოკ სიტი" - 1,7; 17. „ვესტ ბრომვიჩი" - 1,3; 18. „ნორვიჩი" - 1,2; 19. „სუონსი" - 1,1; 20. „საუთჰემპტონი" - 646 ათასი ფუნტი.**

## პიტერსი სტოკ სიტიში

ჰოლანდიური „დე ტელეგრააფის" ცნობით, „ეინდჰოვენისა" და ჰოლანდიის ნაკრების 24 წლის მარცხენა მცველმა **ერიკ პიტერსმა** „სტოკ სიტისთან" 4-წლიანი პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და გარკვეული ფორმალობების მოგვარების შემდეგ კლუბი მას „ბრიტანია სტედიუმზე" ოფიციალურად წარადგენს. პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება კლუბებს შორისაც. პრესა ვარაუდობს, რომ „სტოკს" პიტერსით შემადგენლობის გაძლიერება 4,5 მილიონი ევრო დაუჯდება. ალსანიშნავია, რომ 2012/13 წლების სეზონი ფეხბურთელმა თითქმის მთლიანად გააცდინა, მაგრამ „ნარინჯისფერთა" დამრიგებელ **ლუის ვან გაალს** მის მიმართ ნდობა წამითაც არ დაუკარგავს.

## ბონი სუონსიში მიდის

ჰოლანდიის ერედივიზიეს 2012/13 სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, „ვიტესის" 23 წლის ივუარელმა თავდამსხმელმა **ვილფრიდ ბონიმ** „სუონსისთან" გააფორმა ხელშეკრულება. გაზეთი „დე ხერდენლანდერი" ინფორმაციას ფეხბურთელის აგენტ **ფრანსის კაკუზე** დაყრდნობით წერს. უელსურ კლუბს ტრანსფერი სარეკორდო თანხა, 12 მილიონი ევრო დაუჯდება. „გედების" გარდა ბონის შეძენას აპირებდნენ „ვესტ ჰემი" და „ანჟიც". „სუონსის" თავკაცი **მიკაელ ლაუდრუპი** გულშემატკივარს სეზონის დასრულებისთანავე შეჰპირდა კვალიფიციური თავდამსხმელის შეძენას. აფრიკელს შეუძლია **მიგელ მიჩუს** საქმე შეუმსუბუქოს, რაც ისევ და ისევ გუნდს წაადგება.

ინტერვიუ.ანდრე შიურლე

# მოურინიოს პირველი მერცხალი

### ჟოზემ მირჩია, ლონდონის რომელ უბანში სჯობს ცხოვრება და ამიხსნა, რას ელის ჩემგან

**ანდრე შიურლეს** „ჩელსიში" შესაძლო გადასვლაზე ჯერ კიდევ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე წერდნენ. თავდაპირველად „ლევერკუზენი" 22 წლის ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებდა, მაგრამ „ჩელსიმ" შეძლო მისი მოხიბვლა. ფეხბურთელის ემოციური რეაქციის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. ახლა კი მასთან პირველ ინგლისურ ინტერვიუს გთავაზობთ:

**- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ჩელსიში". რთული ნაბიჯი იყო გადასადგმელად?**

- ბედნიერი ვარ, რადგან გარიგებისთვის წერტილის დასმა ძალიან გაიწელა. იქამდე ყველა გაზეთი თავის ვერსიას წერდა. კარგია, რომ უკვე „ჩელსიში" ვარ. იმედია, აქ ბედნიერ წლებს გავატარებ.

**- აქამდე მხოლოდ გერმანიაში თამაშობდით. რამდენად ამომწურავ ინფორმაციას ფლობთ პრემიერლიგასა და ახალ კლუბზე?**

- ინგლისურ ფეხბურთს მშვენივრად ვიცნობ, რადგან თქვენი ჩემპიონატის თამაშებს ყოველ უქმეზე ვუყურებდი. ცხადია, ყველა ფეხბურთელს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ კლუბებზე ზოგადი წარმოდგენა მაინც მაქვს. საინტერესო იქნება მათთან დაპირისპირება.

**- თქვენ ჟოზე მოურინიოს პირველი შენაძენი ხართ. მოახერხეთ მასთან დალაპარაკება?**

- რამდენიმე კვირის წინ მიხაელ ბალაკის გამოსამშვიდობებელ მატჩზე გავიცანით ერთმანეთი. მან უკვე მირჩია, სად ჯობია ცხოვრება ლონდონში და რას ელის ჩემგან. ის სასიამოვნო და ძლიერი პიროვნებაა.

**- გჯერათ, რომ „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგაში სხვებისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევა შეუძლია?**

- რა თქმა უნდა! ვფიქრობ, ბრწყინვალე გუნდი გვყავს, სადაც რამდენიმე უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელი ირიცხება. დროსთან ერთად ჩვენ უფრო დავიხვეწებით. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კარგი სეზონი გვექნება.

**- თანაგუნდელებს თუ იცნობთ პირადად?**

- ორიოლ რომეუს შევხვედრივარ. მასთან მხოლოდ ზოგადი ფრაზები გავცვალე. საგამოფენო მატჩიდან ვიცნობ მიკაელ ესიენს. მარკო მარინისა და კევინ დე ბრუინის წინაალმდეგ კი მითამაშია.

**- საწვრთნელ ბაზაზე რას ფიქრობთ?**

- აქ უკვე არაერთ სასიამოვნო ადამიანს შევხვედი. ბაზაზე იმდენი მოედანია, რომ ვადაზე ადრე მიჩნდება ვარჯიშის დაწყების სურვილი.

**- აქამდე სხვადასხვა პოზიციაზე გითამაშიათ. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალი ხართ, მაგრამ თავად სად გირჩევნიათ ასპარეზობა?**

- შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია თამაში. თუმცა მგონია, რომ მარცხენა ფლანგზე უფრო მომგებიან სიტუაციაში ვარ, რადგან მცველის მოტყუება და მარჯვენა ფეხით გატანა შემიძლია.

**- შემტევი სტილის ფეხბურთელები გუნდს ისედაც ბევრი ჰყავს, მაგალითად, ოსკარი, მატა და აზარი. მიგაჩნიათ, რომ მათი კალიბრის მოთამაშეებთან კონკურენცია თქვენს კარიერას წაადგება?**

- დიახ, ასე მგონია. მათთან ერთად ვარჯიშზე უკვე ვოცნებობ. ნიჭიერი ახალგაზრდების გარდა გუნდს გამოცდილი წევრებიც ჰყავს, თუნდაც ჩეხი, ტერი, ლამპარდი და კოული ავილოთ. მათგან ძალიან ბევრი რამის სწავლას ვგეგმავ. ბავშვობიდან თვალს ვადევნებ მათ თამაშს და ახლა შემიძლია მხოლოდ ვიამაყო, რომ მათი თანაგუნდელი გავხდი.

**- თქვენი მთავარი ამოცანა რა არის?**

- საკლუბო დონეზე ტიტულების მოგება. ეს ალბათ ბუნებრივიც არის. პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ბევრი რამე შეგვიძლია. ძალიან მინდა, გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილიც შევიტანო.


ანდრე შიურლე

ლივერპული

# კონკურენცია, როგორც მოტივაცია


სიმონ მინიოლე

„ლივერპულის" კაპიტანი **სტივ ჯერარდი** კმაყოფილია აქტიური სატრანსფერო კამპანიით. 33 წლის ვარსკვლავი დარწმუნებულია, რომ მკაცრი კონკურენცია გუნდის პროგრესს მხოლოდ ხელს შეუწყობს. ყველაზე სერიოზული ბრძოლა კარის ხაზზე იქნება, რადგან **პეპე რეინას** გარდა „წითლებს" უკვე **სიმონ მინიოლეც** ჰყავთ. არაერთხელ დაწერილა და ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ, რომ ერთიცა და მეორეც 2012/13 წლების პრემიერლიგის საუკეთესო მეკარეთა შორის იყვნენ. აი, რას ამბობს გუნდის ლიდერი:

- მომავალ წელს „ლივერპულში" მეკარეებს შორის სერიოზული ბრძოლის მომსწრენი გავხდებით. ვინ უნდა იყოს პირველი ნომერი, ამას მხოლოდ ბრენდან როჯერსი გადაწყვეტს. პეპე რჩება და თავის ადგილს ასე იოლად არ დათმობს. მით უფრო, რომ მას არაერთხელ უჩვენებია თავისი მაღალი კლასი. ჩემი აზრით, როცა ის ფორმის პიკშია, მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა ხუთეულში შეყვანას მაინც იმსახურებს. სიმონმა კი „სანდერლენდში" ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა და დაამტკიცა, რომ ნებისმიერი კოლეგასთან შეუძლია ბრძოლა.

სიმართლე გითხრათ, დანარჩენ ახალწვეულებზე ამომწურავ ინფორმაციებს არ ვფლობ, მაგრამ ბრენდან როჯერსსა და კლუბში მომუშავე სკაუტების პროფესიონალიზმს ვენდობი. ისინი თავაულებლად შრომობენ შემადგენლობის გასაძლიერებლად. მოუთმენლად ველოდები საწვრთნელი პროცესის განახლებას, რათა ახალი თანაგუნდელები საქმეში გავიცნო და პირადად დავრწმუნდე, შეუძლიათ თუ არა მათ „ლივერპულის" გაძლიერება იმდენად, რომ ჩემპიონატში ოთხეულში ადგილის დაბრუნებაში დაგვეხმარონ.

ამბები


ალექსანდარ კოლაროვი

## კოლაროვი წასვლაზე ისევ ალაპარაკდა

„მანჩესტერ სიტის" 27 წლის სერბმა მარცხენა მცველმა **ალექსანდარ კოლაროვმა** კიდევ ერთხელ დააფიქსირა ხმამაღლა, რომ მიუხედავად „ქალაქელებთან" 2015 წლის ივლისამდე გაფორმებული კონტრაქტისა, „ეტიჰადზე" დარჩენას აღარ აპირებს. ის დარწმუნებულია, რომ მანჩესტერში არასოდეს ექნება რეგულარული სათამაშო პრაქტიკა. *„სიტიში" თავს ცუდად ნამდვილად არ ვგრძნობ, თუმცა სრული კომფორტისთვის მოედანზე რეგულარულად უნდა გამოვდიოდე. ამას ვეუბნებოდი თავის დროზე რობერტო მანჩინისაც. ჩემთვის ხელფასი სულაც არ არის მთავარი. ასე რომ, მზად ვარ, გადავხედო საკუთარ მოთხოვნებს,"* - განუცხადა ფეხბურთელმა „მანჩესტერ ივნინგ ნიუსს". არ არის გამორიცხული, კოლაროვი **კარლოს ტევესის** გზას დაადგეს და ტურინის „იუვენტუსში" განაგრძოს კარიერა.

## იუნაიტედიდან ანჟიში

„მანჩესტერ იუნაიტედში" სერ **ალექს ფერგიუსონის** ყოფილმა თანაშემწემ, 49 წლის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა **რენე მელენსტენმა** „ოლდ ტრეფორდი" რომ დატოვა, ამას ინგლისური პრესა ორიოდე დღის წინ წერდა. ლეგენდარულ შოტლანდიელს ის 2008 წლიდან ეხმარებოდა გუნდის მართვაში. **დევიდ მოიესმა** მასთან თანამშრომლობა არ ისურვა. კლუბმა მას სამწვრთნელო კარიერაში მომავალი წარმატებები უსურვა. ვერ გეტყვით, შეიძლება თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედიდან" მახაჩყალის „ანჟიში" გადასვლას წარმატება ეწოდოს, მაგრამ ფაქტია, რომ ჰოლანდიელმა ჩრდილოკავკასიელებთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. მალენსტენი „ანჟიში" თანამემამულე **გუუს ჰიდინკის** ასისტენტი იქნება.

## ბრძოლაში სიტიც ჩაერთო

„დორტმუნდის" მენეჯმენტმა დიდი ხანია ოფიციალურად განაცხადა, რომ **რობერტ ლევანდოვსკის** არა მხოლოდ „ბაიერნში", არამედ არც ერთ სხვა კლუბში გაშვებას არ გეგმავს და შესაბამისად, 24 წლის პოლონელს კონტრაქტის ბოლომდე, ანუ 2014 წლის ზაფხულამდე მოუწევს ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის რიგებში თამაში. „შავ-ყვითლები" სერიოზულ რისკზე მიდიან, რომ ფეხბურთელი კომპენსაციის გარეშე დაკარგონ. მიუხედავად კლუბის პრინციპული პოზიციისა, „მანჩესტერ სიტი" ფარ-ხმალს არ ყრის და მზადაა, ლევანდოვსკიში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს. **მანუელ პელეგრინის** „იუვენტუსში" კარლოს ტევესის გაყიდვის შემდეგ თავდამსხმელი ნამდვილად სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


რობერტ ლევანდოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ყველა უსმენს და უჯერებს პეპს!



ხოსეპ გვარდიოლას პირველი ვარჯიში



## გვარდიოლას პირველ ვარჯიშს მხოლოდ 8 000 ფანი დაესწრო...

სუფთა სპორტული თვალსაზრისით, **ხოსეპ გვარდიოლას** ერა „ბაიერნში" სამშაბათ ნაშუადღევს, „ალიანს არენაზე" გამართული პირველი ვარჯიშით დაიწყო. მიუნხენელები პეპის პირველ ვარჯიშზე მინიმუმ 25 000 მაყურებელს ელოდებოდნენ, მაგრამ ბილეთი მხოლოდ 8 000-მა ფანმა შეიძინა, თუმცა ამის გამო არც პეპს წაუხდა ხასიათი და არც „ბაიერნის" ფეხბურთელებს.

ვარჯიში აბსოლუტურად ჩვეულებრივი გახლდათ და კონკრეტულად არ ვისაუბრებთ - გეტყვით მხოლოდ იმას, რომ გვარდიოლა ფეხბურთელების მოქმედებებში ხშირად ერეოდა და ახალ შეგირდებს რჩევებს აძლევდა. ალსანიშნავია, რომ „ბაიერნმა" ახალი სეზონისთვის მზადება არასრულყოფილი შემადგენლობით დაიწყო. პეპმა პირველ ვარჯიშზე პირველი გუნდიდან მხოლოდ 16 ფეხბურთელი შეკრიბა და მათ მეორე გუნდიდან შვიდი მოთამაშე დაუმატა. ვარსკვლავებიდან იყვნენ კაპიტანი **ფილიპ ლამი, თომას მიულერი,**



**მანუელ ნოიერი და ფრანკ რიბერი.**

ახალწვეულთაგან პირველ ვარჯიშში მხოლოდ „მაინციდან" შეძენილი **იან კირხჰოფი** მონაწილეობდა. რაც შეეხება მთავარ შენაძენს, დორტმუნდის „ბორუსიადან" 37 მილიონ ევროდ ნაყიდ **მარიო გიოტცეს**: ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ტრავმირებულია. სამაგიეროდ, გუნდთან ერთად ივარჯიშეს **ტონი კროოსმა**, რომელიც ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და **მარიო გომესმა**, რომლის იტალიაში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია.

ბრაზილიელი ფეხბურთელები **დანტე** და **ლუის გუსტავო**, ასევე ესპანელი **ხავი მარტინესი**, რომლებიც კონფედერაციათა თასზე ასპარეზობენ, „ბაიერნს" მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში შეუერთდებიან. გვარდიოლა შედარებით ადრე ელოდება იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ივნისის დასაწყისში თავიანთ ნაკრებ გუნდებთან ერთად ითამაშეს და შვებულება სწორედ ამის გამო გაუხანგრძლივდათ - ესენი არიან: **დავიდ ალაბა, არიენ რობენი, დანიელ ვან ბუიტენი, ჯერდან შაჩირი** და **მარიო მანჯუკიჩი.**

*„გვარდიოლას გაცნობა ყველას ძალიან გვინდოდა და მასთან პირველი შეხვედრით აღფრთოვანებულები ვართ. პეპი განმარტებების 80 პროცენტს გერმანულ ენაზე იძლეოდა,"* - განაცხადა ვარჯიშის შემდეგ მიულერმა.

*„ვარჯიშზე ისეთი არაფერი ყოფილა, რაც აქამდე არ გაგვიკეთებია. ვფიქრობ, გვარდიოლა ფანტასტიკური მწვრთნელია. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ პეპი გერმანულად გველაპარაკება,"* - ეს ტონი კროოსის სიტყვებია.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გვარდიოლამ თავის ახალ შეგირდებს პირველად ასე მიმართა: *„გილოცავთ ჰეთ-თრიკის შესრულებას. ჩემთვის თქვენი მწვრთნელობა დიდი პატივია! აქ იმისთვის ვარ, რომ თქვენზე და თქვენთან ერთად, „ბაიერნზე" ვიზრუნო. შევეცდები, დაგეხმაროთ იმაში, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეთ,"* - უთქვამს 42 წლის ესპანელს „ბაიერნის" ფეხბურთელებისთვის.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ჩემპიონატი 9 აგვისტოს, სწორედ „ბაიერნისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მატჩით იწყება, პირველი ტიტულის მოგების შესაძლებლობა კი პეპს 27 ივლისს მიეცემა - მართალია, გერმანიის სუპერთასი არც ისე სერიოზული თასია, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ თასისთვის რეკორდმაისტერი დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ძალიან საინტერესო მატჩი გველის.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# შალკემ სალაი გაიფორმა

## ჰუნტელაარს სერიოზული კონკურენტი ეყოლება

ის, რაც აქამდე ჯერ კიდევ სავარაუდო იყო, ახლა უკვე ოფიციალურად დადასტურებული, გადაწყვეტილი ამბავია: „მაინცის" უნგრელი თავდამსხმელი **ადამ სალაი** კარიერას გელზენკირხენის „შალკეში" გააგრძელებს. 25 წლის ცენტრფორვარდმა ახალ გუნდში სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და კონტრაქტი 2017 წლამდე გააფორმა. როგორც ცნობილი გახდა, „შალკეს" ეს ტრანსფერი 8 მილიონი ევრო დაუჯდა.

*„დიახ, „მაინცთან" შეთანხმებას მივაღწიეთ, ადამ სალაი ჩვენთან გადმოდის,"* - უთხრა „შალკეს" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ამრიგად, „შტუტგარტისა" და „მაინცის" შემდეგ, სალაისთვის გერმანიაში კარიერის მესამე ეტაპი იწყება. **ფელიპე სანტანას** (დორტმუნდის „ბორუსიადან" გადაიბირეს) და **კრისტიან კლემენსის** (კიოლნიდან) შემდეგ, სალაი „შალკესთვის" ამ ზაფხულში რიგით მესამე ახალწვეულია. უნგრელი გოლეადორი „შალკეში" ჰოლანდიელი **კლაას-იან ჰუნტელაარის** კონკურენტი იქნება.

გელზენკირხენელები ახლა მთლიანად ნიჭიერი **ლეონ გორეტცკას** ტრანსფერზე გადაერთვებიან. გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულ ნახევარმცველს, რომელიც „ბოხუმის" საკუთრებაა, „შალკეში" გადასვლა უნდა, მაგრამ კლუბები ჯერ ვერ თანხმდებიან.

**გოტფრიდ ლენცი**



ადამ სალაი შალკეში გადავიდა

ამბები

## ბარიოსს ვერდერში უნდა!

ბრემენის „ვერდერის" მიზანი ახალი თავდამსხმელის ყიდვაა, „მუსიკოსებმა" ჩეხი ფორვარდის, **მაცეი ვიდრას** სავარაუდო ტრანსფერი ჩაშლილად გამოაცხადეს და დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილ ბომბარდირ **ლუკას ბარიოსზე** გადაერთნენ. გაირკვა, რომ 28 წლის ბარიოსი, რომელიც დორტმუნდიდან აზარგების შემდეგ ჩინეთში გადაიხვეწა, ბრემენულ კლუბში გადასვლაზე თანახმაა.

*„ლუკას ჩინეთში მოსწყინდა და ბუნდესლიგაში დაბრუნება უნდა. ბარიოსი კარიერის „ვერდერში" გაგრძელებით სერიოზულადაა დაინტერესებული,"* - უთხრა „ბილდს" ლუკასის მრჩეველმა **ჯაკომო პეტრალიტომ**. მისი თქმით, ბარიოსი „გუანჯოუს" ხელმძღვანელობაზე განაწყენებულია, რადგან ბოლო სამი თვის ხელფასი არ აუღია. შესაბამისად, ლუკასს ჩინური კლუბის დატოვება უფასოდ შეუძლია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩინელები მას წელიწადში 5,5 მილიონ ევროს უხდიდნენ.

ამასობაში, ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, **კალდიროლას** შემდეგ „ვერდერს" კიდევ ერთი იტალიელი ფეხბურთელი აინტერესებს: ბრემენელებს „ჩეზენას" უკანახაზელის, **დენის ტონუჩის** გადაბირება სურთ. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, 25 წლის ტონუჩის ბრემენელები 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ. საინტერესო ისაა, რომ ტონუჩის და კალდიროლას **მარკო დე მარკის** სახით ერთი აგენტი ჰყავთ.

## ჯურუ ჰამბურგში მიდის!

„ჰამბურგის" ახალი სპორტული დირექტორი **ოლივერ კროიცერი** ტრადიციული გერმანული კლუბის ფანებს ახალი ფეხბურთელების ყიდვას დაჰპირდა და საქმესაც შეუდგა: კამერუნელი თავდამსხმელის, 21 წლის **ჟაკ ზუას** შემდეგ ჩრდილოგერმანული კლუბი შვეიცარიის ნაკრების მცველ **იოჰან ჯურუსაც** გადაიბირებს!

კროიცერი უკვე შეუთანხმდა როგორც 26 წლის ფეხბურთელს, ასევე მის მფლობელ ლონდონის „არსენალსაც". ინგლისურ კლუბს 1.92 მეტრი სიმაღლის უკანახაზელი წინა სეზონში „ჰანოვერში" ჰყავდა განათხოვრებული, ახლა კი არენდით „ჰამბურგში" გაუშვებს. ჯურუს არსენალთან კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს და „ჰამბურგმა" მომავალი ზაფხულისთვის მისი სრულფასოვნად შესყიდვის უპირატესი უფლება მიიღო. ალსანიშნავია, რომ ჯურუს შენარჩუნება „ჰანოვერსაც" სურდა, მაგრამ „ბილდის" ინფორმაციით, „ჰამბურგმა" მას გაცილებით უკეთესი პირობები შესთავაზა.

ჯურუს ტრანსფერის შემდეგ ჰამბურგელებს პარაგვაელი თავდამსხმელის, **როკე სანტა კრუსისა** (31 წლის) და „დორტმუნდის" კუთვნილი მცველის, **ლასე სობიეხის** (22) გადაბირება სურთ.

## შახტარმა დორტმუნდს მხითარიანში 30 მილიონი მოსთხოვა

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ დონეცკის „შახტარის" სომეხი ვარსკვლავის, **ჰენრიხ მხითარიანის** ყიდვა „ლივერპულის" შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიამაც" მოინდომა. ისიც გაცნობეთ, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი მზადაა, უკრაინულ გრანდს მხითარიანის სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო გადაუხადოს. გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, „შახტარი" მზადაა, მხითარიანი დათმოს, მაგრამ დონეცკელები ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებენ, თუ მსურველი 30 მილიონ ევროს გადაიხდის.



ჰენრიხ მხითარიანი

*„დორტმუნდმა მხითარიანის სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტს, კერძოდ 30 მილიონს ვითხოვთ,"* - ეს „შახტარის" ბოსის, სერგეი პალკინის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ ჰენრიხ მხითარიანმა უკრაინის ჩემპიონატის 29 მატჩში 25 გოლი გაიტანა. „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპს** სომეხი ფეხბურთელი „ბაიერნში" გადასული **მარიო გიოტცეს** შემცვლელად ესახება.

## დიეგო ვოლფსბურგში რჩება

„ვოლფსბურგის" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა დიეგოს** გარშემო ატეხილ დისკუსიას ბოლო მოუღო: *„არა მარტო დღევანდელი გადასახედიდან, არამედ სავსებით სერიოზულად შემიძლია ვთქვა, რომ დიეგო ჩვენთან დარჩება. თანაც, მისი შეძენის სურვილით ჩვენთვის არავის მოუმართავს,"* - უთხრა ალოფსმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. არადა, ვრცელდებოდა ცნობები, რომ მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელი გამთამაშებლის დაბრუნება სურდა.

**გოტფრიდ ლენცი**

## ნიუელსის ახალი მწვრთნელი ბერტი იქნება

**ხერარდო მარტინო** „ნიუელს ოლდ ბოისს" ტოვებს. არგენტინის ახალ ჩემპიონს წინ სეზონის ფინალი (ველესთან) და ლიბერტადორესის თასის 1/2 ფინალი (ატლეტიკო მინეიროსთან) ელის, რის შემდეგაც პარაგვაის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გუნდიდან წავა. კლუბის ხელმძღვანელებს ბევრი არ უფიქრიათ და მომავალი დამრიგებელი საკლუბო სტრუქტურაში იპოვეს - მარტინოს შემდეგ „ნიუელსს" **ალფრედო ხესუს ბერტი** გაუძღვება, რომელიც ამჟამად დუბლების მწვრთნელია.

41 წლის ბერტი ფეხბურთელობისას „ნიუელსის", „გვადალახარას", კალის „ამერიკას" და „ბოკა ხუნიორსის" ღირსებას იცავდა, „ნიუელსის" დუბლებამდე კი ჩილეს ნაკრებში მუშაობდა, სადაც **მარსელო ბიელსას** ასისტენტი გახლდათ. სწორედ ბიელსას ხელმძღვანელობით თამაშობდა ბერტი „ნიუელსში" და 1992 წელს ამ გუნდთან ერთად არგენტინის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ახლა ის უკვე მარსელო ბიელსას სახელობის სტადიონზე იმუშავებს.

## ბრუმა პსვ-ში

**ჯეფრი ბრუმა** კარიერას „პსვ ეინდჰოვენში" გააგრძელებს. ლონდონის „ჩელსის" ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელმაც ბოლო ორი სეზონი „ჰამბურგში" იჯარით გაატარა, ჰოლანდიურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა „ჩელსის" მასზე ბოლომდე უარი არ უთქვამს, რადგან კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც „არისტოკრატებს" ცენტრალური მცველის გამოსყიდვა შეუძლიათ.

ბუნდესლიგის ბოლო სეზონში ბრუმამ 18 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. „ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა მისი დატოვება არ მოისურვეს და მოთამაშეს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცეს. სხვათა შორის, ბრუმა „ფეიენოორდის" აკადემიაში კი იზრდებოდა, მაგრამ ის „ჩელსიში" 16 წლის ასაკში გადავიდა და ამის გამო მას ჰოლანდიაში პროფესიულ დონეზე ჯერ არ უთამაშია.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი. ბრაზილია 2013. 1/2 ფინალი

# უფრო იღბლიანი ესპანეთი აღმოჩნდა

**ესპანეთი-იტალია 0:0 პენ. 7:6**

**პენალტების სერია:** 0:1 კანდრევა, 1:1 ჩავი, 1:2 აკვილანი, 2:2 ინიესტა, 2:3 დე როსი, 3:3 პიკე, 3:4 ჯოვინკო, 4:4 სერხიო რამოსი, 4:5 პირლო, 5:5 მატა, 5:6 მონტოლივო, 6:6 ბუსკეტსი, 6:6 ბონუჩი (ააცილა), 7:6 ხესუს ნავასი

**ესპანეთი** (4-3-2-1): კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პიკე, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (79. მატა), სილვა (53. ხესუს ნავასი) - ფ. ტორესი (94. ხავი მარტინესი)

**იტალია** (3-4-2-1): ბუფონი - ბონუჩი, ბარძალი (46. მონტოლივო), კიელინი - მაჯო, პირლო, დე როსი, ჯაკერინი - კანდრევა, მარკიზიო (80. აკვილანი) - ჯილარდინო (91. ჯოვინკო)

**გაფრთხილება:** პიკე - დე როსი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 19-13 (5-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 56 083

ესპანეთისა და იტალიის 1/2-ფინალმა გაორებული შეგრძნება დაგვიტოვა - მართალია, გუნდებმა 120 წუთის განმავლობაში გოლი ვერ გაიტანეს, მაგრამ მატჩი მაინც საკმაოდ სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა.

შეხვედრის პირველ ტაიმში უფრო კარგად იტალიის ნაკრები თამაშობდა. მართალია, ესპანეთი ბურთს უფრო ხშირად ფლობდა, რაც გასაკვირი სულაც არ იყო, მაგრამ რეალური მომენტი „ფურია როხას“ არ შეუქმნია, იმ დროს, როდესაც იტალიას სულ მცირე ორი კარგი ეპიზოდი ჰქონდა და ორივეჯერ მიზანთან ახლოს **კრისტიან მაჯო** იყო. „ნაპოლის“ გარემარბი შეტევებში ძალიან კარგად ერთვებოდა, თუმცა ორივე სახიფათო ეპიზოდში შესანიშნავად ითამაშა **იკერ კასილიასმა** და საკუთარი გუნდი იხსნა.

იყო მოლოდინი, რომ **ჩეზარე პრანდელი** 3 ცენტრალური მცველით ითამაშებდა და ეს პროგნოზი გამართლდა. „სკუადრას“ რიგებში განსაკუთრებით აქტიური მაჯო-**კანდრევას** დუეტი იყო, გამოირჩეოდა **ჯაკერინიც**, რომელსაც შესანიშნავი საგოლე მომენტი დამატებით დროში შეექმნა, როდესაც ახლო მანძილიდან დარტყმული კასილიასის კარის ძელს გაარტყა.

მატჩის 90 წუთი პრაქტიკულად ისე გაილია, რომ ესპანეთს რეალური საგოლე მომენტი არ ჰქონია. მეორე ტაიმში იტალია ბურთს პირველთან შედარებით ხშირად აკონტროლებდა, „აძურამ“ რამდენიმე კუთხურიც მოაწოდა, მაგრამ თამაშში კასილიასის ჩართვამდე საქმე არ მიდიოდა.

მეორე ტაიმის დებიუტში **ვისენტე დელ ბოსკემ** თამაშში **ხესუს ნავასი** ჩართო, რომელმაც ინერტული **დავიდ სილვა** შეცვალა. „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელმა თავიდანვე იაქტიურა და რამდენჯერმე სახიფათოდაც ჩააწოდა. ნავასის ერთ-ერთ ასეთ გარღვევას ესპანელთა ყველაზე სახიფათო მომენტი მოჰყვა, როდესაც შეტევაში, ყველასთვის მოულოდნელად, **პიკე** ჩაერთო და კარგი პოზიციიდან ძალიან ცუდად დაარტყა.

დამატებითი დროის პირველი ნახევარი იტალიამ უკეთ ჩაატარა და ჯაკერინის ზემოთ ხსენებული მომენტიც სწორედ მაშინ შეიქმნა. მეორე ტაიმში უპირატესობას უკვე ესპანეთი ფლობდა. **ჩავის** დარტყმას **ბუფონის** შეცდომა მოჰყვა და იტალია ძელმა იხსნა. კვლავ გამოირჩეოდა ხესუს ნავასი - ერთხელ თავად „სევილიას“ ფეხბურთელი ურტყამდა, მეორედ კი **ხავი მარტინესმა** ვერ მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა. საბოლოოდ, შეხვედრა 0:0 დასრულდა და, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის 1/4-ფინალის მსგავსად, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია გახდა საჭირო - გამარჯვება ამჯერადაც „ფურია როხას“ დარჩა.

სიმბოლურია, რომ გადამწყვეტი და გამარჯვების მომტანი 11-მეტრიანი იმ ფეხბურთელმა გაიტანა, ვინც ესპანელთა რიგებში ყველაზე აქტიური იყო. ხესუს ნავასამდე კი ბურთთან **ლეონარდო ბონუჩი** მივიდა და „იუვეს“ მცველი გამოდგა ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც პენალტი ვერ გაიტანა. მანამდე კი მეკარეებს შანსი არ ჰქონდათ - ორივე გუნდმა ზედიზედ 12 პენალტი ისე გაიტანა, რომ მათ დარტყმის კუთხე მხოლოდ ერთხელ გამოიცნეს.

საბოლოოდ, აბსოლუტურად თანაბარ შეხვედრაში უფრო მეტად ესპანეთს გაუმართლა და მსოფლიოს ჩემპიონი 30 ივნისს (თბილისის დროით უკვე 1 ივლისი იქნება) „მარაკანაზე“ ბრაზილიას შეხვდება, იტალია კი იმავე დღეს მესამე ადგილისთვის ურუგვაის დაუპირისპირდება.


„ფურია როხა“ ფინალში გასვლას ზეიმობს

## საუკეთესო ფეხბურთელი

### იკერ კასილიასი (ესპანეთი)

იმის მიუხედავად, რომ პენალტი არ მოუგერიებია და კანდრევას მიერ **პანენკას** (გნებავთ: პირლოს, **ტოტის** ან **ზიდანის**) სტილში დარტყმული პენალტის შემდეგ, თითქოს მცირე შოკშიც იყო, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მაინც იკერი დაასახელეს. ამის მთავარი მიზეზი კი ის რამდენიმე ეპიზოდია, როდესაც **ჟოზე მოურინიოსგან** მოძულებულმა მეკარემ შესანიშნავად ითამაშა და საკუთარი გუნდი იხსნა.

ტატო ბაციკაძე



ერთიანი ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# იუვეს ახალი 10-იანი

## ვინ დარჩება თამაშგარეში?

**კარლოს ტევესის** იტალიაში ჩასვლა ხმაურიანი გამოდგა - მილანის აეროპორტში 29 წლის არგენტინელს უამრავი ტიფოზი და ჟურნალისტი დახვდა, რომლებიც ფეხბურთელს ტურინში ჩაჰყვნენ. შემდეგ იყო წარდგენა: კლუბის პრეზიდენტი **ანდრეა ანიელი** და 10-ნომრიანი მაისურით ხელდამშვენებული კარლოს ტევესი. დიახ, კარლიტოს **ალესანდრო დელ პიეროს** ნომერი ერგო, ეს კი უდიდესი პასუხისმგებლობაა - აქვე ვთქვათ, რომ „ბიანკონერის" გულშემატკივართა ნაწილმა ტევესისთვის 10-იანის მიცემა გააპროტესტა.

კარლოსი ჟურნალისტებსაც შეხვდება, შემდეგ კი პრეზენტაცია გაიმართება და „იუვენტუს არენაზე" ბურთსაც აკენწლის, მაგრამ მთავარია, რას იზამს არგენტინელი მომდევნო სეზონში... არის კი კარლიტო ის სუპერფორვარდი, რომელზეც ტურინში აგერ უკვე მესამე წელია საუბრობენ?... არის კი კარლიტო ის მოთამაშე, რომელიც ორი თავით ალემატება **მირკო ვუჩინიჩს, ფაბიო კვალიარელას, სებასტიან ჯოვინკოს** და **ალესანდრო მატრის**? - საერთოდ, რა ბედი ენევათ ამ ფეხბურთელებს? - ამ კითხვებზე პასუხი **ანტონიო კონტემ** უნდა გასცეს, თუმცა იტალიელ ჟურნალისტებს თავისი ვარაუდები აქვთ, რომლებიც დიდწილად ბოლო სატრანსფერო ცნობებზეა დამყარებული...



კარლოს ტევესი „იუვენტუსში" 10 ნომრით ითამაშებს

### კონტეს ხუთეული

სერია A-ს ბოლო ჩემპიონატი ახალი დასრულებული იყო, როდესაც ანტონიო კონტე „რაი სპორტს" ესტუმრა და განაცხადა, რომ მომდევნო სეზონში, „იუვეს" შეტევით ხაზში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. ის, რომ გუნდის ბომბარდირი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი** გახდა, მწვრთნელმა პრობლემად მიიჩნია და სრულიად საფუძვლიანადაც. კონტემ დასძინა, რომ შემტევებს გაფილტრავს და სავარაუდოდ, გუნდში მხოლოდ ხუთი ნომინალური თავდამსხმელი ეყოლება. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ შემტევს მეტი სათამაშო დრო და შესაბამისად, ნდობა ექნება, ეს კი ფეხბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. რა ხდებოდა ამ მხრივ გასულ სეზონში? - კონტეს განკარგულებაში ერთბაშად შვიდი შემტევი იყო: მირკო ვუჩინიჩი, ალესანდრო მატრი, სებასტიან ჯოვინკო, ფაბიო კვალიარელა, **ნიკლას ბენდტნერი, ნიკოლა ანელკა** და **ვინჩენცო იაკვინტაც** კი, რომელსაც თამაშის საშუალება საერთოდ არ მისცემია.

ბენდტნერი, ანელკა და იაკვინტა უკვე წავიდნენ - **ფერნანდო ლორენტე** და კარლოს ტევესი კი მოვიდნენ. ანუ, ამ დროისთვის გუნდში 6 თავდამსხმელია, რომელთაგან ერთი ზედმეტია.

### ვინ არის ზედმეტი?

კარლოს ტევესი, სებასტიან ჯოვინკო და მირკო ვუჩინიჩი დაახლოებით ერთი ყაიდის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც უფრო სიღრმიდან უყვართ თამაში და მათ ტიპურ დამგვირგვინებლებს ვერ ვუწოდებთ. ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი ფერნანდო ლორენტე, ფაბიო კვალიარელა და ალესანდრო მატრი უნდა მივიჩნიოთ. ლორენტე და ტევესი ხელშეუხებელნი არიან, დარჩენილი მოთამაშეებისგან კი ოფსაიდში ნებისმიერ შეიძლება დარჩეს. თითოეულ მათგანზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და შესაძლოა, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გამოდგეს განაჩენის გამოტანისას - მაშ ასე, გარეთ დარჩენის კანდიდატები და მათი პერსპექტივები...

### მირკო ვუჩინიჩი (29 წლის)

გასულ სეზონში, შემტევთა შორის ანტონიო კონტე ყველაზე მეტად მირკო ვუჩინიჩს ენდობოდა და გამომდინარე აქედან, მისი წასვლის შანსები არც თუ მაღალია. თუმცა, ჩერნოგორიელს მსურველები არ აკლია და ამან შესაძლოა გარკვეული კორექტივები შეიტანოს ზემონათქვამში.

ვუჩინიჩის გადაბირება ლონდონის „ტოტენჰემის" მესვეურებს სურთ და არც თვითონ ფეხბურთელი მალავს, რომ ინგლისის პრემიერლიგაში სიამოვნებით ითამაშებდა. გარდა ამისა, მირკოს მიმართ ინტერესს იჩენს „ფიორენტინა", სადაც მისივე თანამემამულის, **სტევან იოვეტიჩის** შემცვლელს ეძებენ.

### სებასტიან ჯოვინკო (26)

სებასტიან ჯოვინკოს მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი „პარმას" აქვს, სადაც ფეხბურთელს აქამდეც უთამაშია. თანაც, ემილიელებმა სატრანსფერო კამპანიას ხელი სერიოზულად მოჰკიდეს, **ანტონიო კასანოს** იმატებენ და თუ ჯოვინკოც გადაიბირეს - შეტევის ხაზს სერიოზულად გააძლიერებენ.

გარდა ამისა, ჯოვინკოს დამატების სურვილი „ბოლონიამ" გამოთქვა, რომელიც დიდი ალბათობით, **ალესანდრო დიამანტის** დაკარგავს, მას კი ღირსეული შემცვლელი სჭირდება. მოკლედ, მსურველები სებასაც ჰყავს, მაგრამ არა ისეთი, რომლის გამოც ფეხბურთელი „იუვედან" აბარგებაზე იფიქრებს. ამად იყო, „იუვეს" სიყვარულში რომ გამოუტყდა და კარიერის ტურინულ გრანდში დასრულების სურვილი საჯაროდ გამოთქვა.

### ალესანდრო მატრი (28)

ალესანდრო მატრი „კალიარიდან" „იუვენტუსში" დიდი იმედებით გადავიდა, მაგრამ ჯერჯერობით, ბევრი ვერაფრით წარმოაჩინა თავი. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყოს, რომ კონტესგან ნდობა ჯერ კიდევ არ უგრძნია. ანუ, მცირე სათამაშო დრო ეძლევა, ასეთ დროს კი თავის გამოჩენა რთული საქმეა. ასეა თუ ისე, მატრი „იუვედან" აბარგების რეალურ კანდიდატად ითვლება და არც მსურველები აკლებენ აქტიურობას.

ცნობილია, რომ ალესანდროს დამატება „ტორინოს" სურს, რაც უდავოდ ხმაურიანი ტრანსფერი იქნება. ერთი ტურინული გუნდიდან მეორეში გადასვლა იშვიათი მოვლენაა და მას ყოველთვის მოსდევს აურზაური. თუ „იუვენტუსის" მესვეურებმა მატრის გაშვება გადაწყვიტეს, ფორვარდს რევანშის ასაღებად საუკეთესო შანსი სწორედ „ტორინოში" მიეცემა და თანაც, არც ქალაქის გამოცვლა მოუწევს. ალესანდროს უკვე მიმართა წინადადებით სერია A-ში ალზევებულმა „ვერონამ", თუმცა თვითონ ვენეტოელები ამბობენ, რომ აღნიშნული ტრანსფერის დიდად არ სჯერათ. ანუ, „ცდა ბედის მონახევრეას" პრინციპით იმოქმედეს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

### ფაბიო კვალიარელა (30)

ალესანდრო მატრისთან ერთად, „იუვედან" აბარგების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ფაბიო კვალიარელა მიიჩნევა. თვითონ ფეხბურთელიც სხვებზე მეტად არის ახალ გამოწვევაზე ორიენტირებული და ეს ჯერ კიდევ გასულ სეზონში ალმოხდა რამდენჯერმე. ამიტომ, კვალიარელას წასვლის ალბათობა ძვირად უნდა შევაფასოთ.

ფაბიოს მიმართ ყველაზე მეტ ინტერესს ორი კლუბი იჩენს: „ნაპოლი" და „უდინეზე". 30 წლის ფორვარდს ორივე გუნდში აქვს ნათამაშები და არჩევანიც მშვიდად შეუძლია გააკეთოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კვალიარელა ნეაპოლელია და არაერთხელ უთქვამს, რომ „ნაპოლის" მიმართ განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს.

„გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ფაბიოს მიმართ ინტერესს ინგლისური „ვესტ ჰემიც" გამოხატავს, რომელიც ბოლო დროს იტალიურ ბაზარზე გააქტიურდა. მოკლედ, თუ ფაბიოს ახალი გამოწვევა სურს, წესით წინააღმდეგი არც „იუვენტუსი" უნდა წავიდეს, არჩევანი კი საკმაოდ ფართო აქვს.

ლაშა ნიკლაური

სავარაუდო ტრანსფერი

# რივერი დემიკელისით დაინტერესდა



რამონ დიასი გუნდის სერიოზულად გაძლიერებას აპირებს

„რივერ პლეიტი" კლუბში **მარტინ დემიკელისის** დაბრუნებას აპირებს. „მალაგას" მცველი, რომელსაც ესპანურ კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა, საფეხბურთო კარიერას სწორედ „რივერში" იწყებდა, საიდანაც 2003 წელს მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდა, იქიდან კი 2011 წლის იანვარში „მალაგას" შეუერთდა. 32 წლის უკანახაზელის სამსახურით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ არგენტინელი ჟურნალისტების აზრით, ფავორიტი სწორედ „რივერია".

დემიკელისის გარდა, გუნდის მწვრთნელი **რამონ დიასი** კიდევ არაერთი ფეხბურთელით არის დაინტერესებული. „ოლეს" ცნობით, „ლოს მილიონარიოსში" **ოსმარ ფერეირა** გადადის, რომლის „ინდეპენდიენტეც" პრიმერადან გავარდა. გარდა ამისა, დიასს შეტევის გაძლიერება სურს და ამისთვის რამდენიმე კანდიდატი ჰყავს შერჩეული. საუბარია სარანდის „არსენალის" კოლუმბიელ ფორვარდ **კარლოს კარბონეროზე**, პარაგვაული „სერო პორტენიოს" ლიდერ **ხონათან ფაბროზე** და **ლუკას ბარიოსზე**, რომელმაც სეზონი ჩინურ „გუანჯოუ ევერგრანდში" დაასრულა.

ტატო ბაციკაძე






ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს თასი

# ლიდერები ლეიბზე და თავის წონაში

## მორიგი საჭიდაო სპექტაკლის მოლოდინში

ამუქმეებზე დილომში მდებარე ძიუდოს აკადემია კვლავაც გადაიქცევა მოჭიდავეთა მექად. მოგეხსენებათ, იქ წინა შაბათ-კვირას თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს თასის გათამაშება ჩატარდა, რაც მაღალი დონის ტურნირი გამოდგა, ამჯერად კი ანალოგიურ შეჯიბრებაში ბერძენ-რომაელები იასპარეზებენ.

ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის - **ოთარ ტატიშვილის** მოთხოვნით, რასაც ფედერაციაც სრულად ეთანხმება, ტურნირში ქვეყნის ყველა უძლიერესმა ფალავანმა უნდა იასპარეზოს ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონების - **ზურაბ დათუნაშვილის** (74), **ვლადიმერ გეგეშიძის** (84) და მესამე პრიზიორ **გურამ ფერსელიძის** (96) ჩათვლით. ასევე იქნებიან ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) და მესამე პრიზიორი **მანუჩარ ცხადაია** (74). ყოველ შემთხვევაში, სამწვრთნელო შტაბისთვის გათავისუფლების მოთხოვნით ჯერ არავის მიუმართავს, ხოლო ტატიშვილის თქმით, ის თითიდან გამოწოვილი მიზეზით არც აპირებს ვინმეს დასვენებას. ბუნებრივია, ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა და ამ ორიოდ დღეში ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ თუ ვინმე ტრავმის მომიზეზებით მოინდომებს გათავისუფლებას, მართლაც სერიოზული პრობლემა უნდა აწუხებდეს. ასეთმა მიდგომამ „თავისუფალთა" ზემოაღნიშნულ ტურნირში გაამართლა და მაყურებელმა მართლაც ძლიერი შეჯიბრება მიიღო საჩუქრად, რასაც წინა წლებში ამაოდ ელოდა. მაშინაც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ჩვენი-ვე ვარსკვლავების ხალიჩაზე რეალურად ნახვის სხვა საშუალება ადგილობრივ ქომაგებს არც აქვთ, მაგრამ ისინი შიდა პირველობებს მუდამ თავს არიდებდნენ (ცხადია, ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით). მივესალმებით, ეს მიდგომა თუ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრება.



ტატიშვილის კიდევ ერთი მკაცრი მოთხოვნა პირადი წონის გაკონტროლებაა და ამიტომ ყველას საკუთარ წონაში ავალებს ჭიდაობას. ამჯერად არ იქნება ადრე ასე ჩვეულებრივი ამბავი, როცა ზედა წონებში გამოდიოდნენ, ხოლო ვისაც ბევრის დაკლება უწევს, მათთვის ფედერაცია 2-კილოგრამიან შეღავათს აწესებს, ოღონდ თან აფრთხილებს, რომ სამომავლოდ არც ამას დაუშვებს... საქართველოს თასი მსოფლიოს პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა და ლიდერთა გამოსვლა, თანაც - თავის წონაში ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი. იმავე „თავისუფალთა" ტურნირიდან გამომდინარე, ამან გაამართლა.

შეჯიბრება შაბათს 12 საათზე დაიწყება და იმ დღეს 4 წონითი კატეგორიის წარმომადგენლები იჭიდავებენ: 55, 66, 84 და 120-ის, დანარჩენებს კი კვირას იხილავს ქომაგი.

იმედია, ძიუდოს აკადემიაში ახლაც ისეთივე დაძაბულ ტურნირს ვიხილავთ, როგორიც „თავისუფალთა" შეჯიბრება იყო, თუმცა მისი გათვალისწინებით ფედერაციას ორ რეკომენდაციას მივცემთ: კატეგორიულად გააფრთხილონ სპორტსმენები, რომ ხალიჩაზე თუ მის გარეთ კინკლაობისთვის მკაცრად დაისჯებიან (მაშინ იყო 1-2 ასეთი ინციდენტი, რაც ნამდვილად არ უხდება სპორტულ შეჯიბრებას); მაგიდის მსაჯებს ზარი ან რამე ხმოვანი ხელსაწყო დაუდგან, რათა დროის ამოწურვისას ლეიბის მსაჯს სიტყვიერად არ ეძახდნენ ამის შესახებ. წინა ტურნირზე ამანაც გამოიწვია გარკვეული ვნებათაღელვები, რადგან დარბაზის ხმაურში იმათ ხშირად არ ესმოდათ ეს შეძახილები და ფალავნებიც აგრძელებდნენ ჭიდაობას, რაც ზედმეტი დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# თითო ვერცხლი და ბრინჯაო

ცნობილმა უკრაინელმა მოკრივეებმა - ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა რამდენიმე წლის წინათ დააფუძნეს ახალგაზრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობენ. გამარჯვებულები ძმების სახელობის პრიზებით ჯილდოვდებიან.

ამჯერად უკრაინის ქალაქ ბერდიჩევოში 13 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **კუკური შავგულიძემ** უკრაინულ რინგზე 5 შეგირდი გამოსცადა. 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა **ჯემალ შალამბერიძემ** ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 75 კილოში ბრინჯაოს მედალი, ასევე, რიონისპირელმა **ირაკლი ქათამაძემ** მოიპოვა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# შაფათავა მეოთხედფინალში

შტუტგარტ-ვაიჰინგენის (გერმანია) ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მეოთხედფინალში გავიდა მე-5 ნომერი **სოფიო შაფათავა,** რომელმაც პირველ წრეში დალილა იაკუპოვიჩს (სლოვენია) აჯობა, გუშინ კი დანიელა ჰარმსენი (ჰოლანდია) დაჯაბნა - 6:3, 6:2. ჩვენებურის მეტოქე იქნება კვალიფიკაციიდან აღზევებული მასპინძელი ანტონინა ლოტნერი - გუშინ მან მეორე ნომრად განთესილი შტეფანი ვოგთი (ლიხტენშტეინი) ჩამოიშორა გზიდან. ჯერ კიდევ პირველ წრეში გადაინაცვლა მაყურებლებში ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ანდრეა მიტუმ (რუმინეთი). პირველი ხელი მან ფრანგ ესტელა გუიზარდს 6:1 მოუგო, მეორეში მშრალი ანგარიშით დამარცხდა - 0:6, როცა მესამესაც 1:4-ს აგებდა, ეტყობა, ტრავმა მიიღო და ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. გუშინ ვერც გუიზარდმა იყოჩაღა - ფრანგს კარინ მორგოშოვამ (სლოვაკეთი) აჯობა - 6:4, 6:2 და მეოთხედფინალში მე-8 ნომერ სანდრა ზანიევსკას (პოლონეთი) გაუწევს მეტოქეობას.



სოფიო შაფათავა

საფრანგეთში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ასპარეზობა დაასრულა **მაკა ჩახნაშვილმა,** რომელმაც წარმატებით განვლო ორი წრე, მაგრამ გუშინ მერვე ნომრად განთესილ ალბერტა ბრიანტისთან (იტალია) დამარცხდა 4:6, 6:3, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა. თბილისის თასი

# ტურნირის და დაფინანსების მოლოდინში

შაბათ-კვირას „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე გაიმართება თბილისის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ორგანიზატორებმა მასში მონაწილეობისთვის არათბილისელებიც მოიწვიეს, მაგრამ ჩამოსვლას ვერც ბათუმელები ახერხებენ და ვერც - ქუთაისელები. თან ბათუმელებს სულ მალე საკუთარი ტურნირი აქვთ და იმისთვის ემზადებიან. შეჯიბრებაში არც უკრაინიდან გადმობირებული **იულია ლობჟანიძე** გამოვა, რომელიც სავარჯიშოდ თბილისიდან ბათუმში გადაბარგდა. სამაგიეროდ, იასპარეზებენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** და ვაჟთა ნაკრების ლიდერი **ლაშა ფხაკაძე**. ესებუასთვის ეს ოლიმპიადის შემდეგ ერთ-ერთი პირველი სტარტი იქნება და საინტერესოა, როგორ გამოვა.

ეს ტურნირი შესარჩევი და ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ნაკრების კანდიდატებისთვის. მისი შედეგების მიხედვით შეირჩევა ბათუმში ნამსვლელი დედაქალაქური გუნდი, ეს ორი შეჯიბრება გამოავლენს 19-24 აგვისტოს პოლონურ ვროცლავში, მსოფლიოს თასის რიგით მეოთხე ეტაპზე (მანამდე ანალოგიური თასი კოლუმბიურ მედელინშიც იმართება, მაგრამ იქ ჩვენები ფინანსური პრობლემების გამო არ იასპარეზებენ) ნამსვლელ გუნდს. საამისოდ ქალებს ისევ მოუწევთ სავალდებულო კვოტის - 1320 ქულის, ვაჟებს კი 1270-ის შესრულება.

ამასობაში გაირკვა 15-20 ივლისს ბუქარესტში გასამართ ევროპის ასაკობრივ თასზე მოასპარეზე ახალგაზრდებისა და ჭაბუკების ნაკრებების შემადგენლობა. ახალგაზრდა ბიჭებში იქ ფხაკაძე, **ჯაბა მოსეშვილი** და **ლევან ჩიტაშვილი** გამოვლენ, გოგონებში - **თეონა კუტალაძე**, **თეონა არჯევანიძე** და **ანა დუმბაძე**. ჭაბუკთა ასაკში ბიჭებში **არჩილ ფარსენაძე**, **აკაკი ლეკვეიშვილი** და **ზურაბ მესტვირიშვილი** ისვრიან, გოგონებში - **მედეა აბულაძე**, **ციალა ფუტკარაძე** და **ანა დუმბაძე**. ეს მონაწილეები საკონტროლო შეჯიბრების შემდეგ შეარჩიეს და გოგონებში თუ ყველა ძველი ლიდერი მოხვდა, ბიჭებში მესტვირიშვილი და ჩიტაშვილი ახალი სახეები არიან.



ფედერაციას რუმინეთში ჭაბუკთა ასაკის ორი მონაწილის წაყვანაც სურს - **ვლადიმერ დოლიძის** და **დიანა გორგოშაძის**. ისინი ჭაბუკთა უმცროს ასაკს მიეკუთვნებიან, რომლებსაც გაისად ჩინურ ნანჯინგში გასამართი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები უწევთ, იქ მოსახვედრი საგზურები კი წლეულსვე უნდა მოიპოვონ ჩინურ ვუქსში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში. ეს ბავშვები შედეგებით სარუმინეთო ნაკრებში ვერ ხვდებიან და სატურნირო პრაქტიკისთვის სურთ, სადმე გამოსცადონ ისინი. ფედერაციამ მათი დაფინანსების თხოვნით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა და, იმედია, დააფინანსებენ კიდეც.

სიტყვა ფინანსებზე ჩამოვარდა და გეტყვით, რომ ახალგაზრდული ნაკრების ბულგარეთში დაგეგმილ შეკრებას საფრთხე შეექმნა. იქ წასვლა მათ რუმინულ ტურნირამდე სურდათ უკეთ მომზადების მიზნით, მაგრამ ახლა ყველაფერი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროზეა დამოკიდებული - იმედია, ისინიც გამოძებნიან თანხებს ახალგაზრდების დასაფინანსებლად, რაც მათ აღზრდას წაადგება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## ბლიცში მჭედლიშვილი პირველია


მიხეილ მჭედლიშვილი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა ელვისებურ ჭადრაკში (ბლიცი). საასპარეზოდ ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** დაიკავა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გიორგი მარგველაშვილმა, დავით ჯოჯუამ და ლევან ფანცულაიამ გაიყვეს. საუკეთესო სამეული 150-100 და 50 ლარით დაჯილდოვდა.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაში ბრაზილიელი დიდოსტატი ალექსანდრ ფიერი და საფრანგეთის ქალთა ნაკრების წევრი ნინო მაისურაძეც მონაწილეობდნენ. ბრაზილიელი 6 ქულით მხოლოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**

## ძაგნიძემ მესამე საფეხური განიმტკიცა

ერთი ტურიც და დილიჟანში (სომხეთი) დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა გრან პრის მეორე რაუნდი, რომელშიც 12 უძლიერესი დიდოსტატი მანდილოსანი მონაწილეობს წრიული სისტემით.

გუშინ მე-10 ტურში **ნანა ძაგნიძემ** შავი ფიგურებით ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) 38-ე სვლაზე სძლია და 6 ქულით მესამე ადგილი განიმტკიცა.

მეწინავეობს ინდოელი ჰამფი კონერუ - იგი 55-ე სვლაზე ოლგა გირიას (რუსეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი) - ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - ანა მუზიჩუკი (სლოვენია). სომეხმა ელინა დანიელიანმა წინა გრან პრის გამარჯვებული **ბელა ხოტენაშვილი** დაამარცხა, მსოფლიოს ჩემპიონმა ანა უშენინამ (უკრაინა) ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) აჯობა.

ათი ტურის შემდეგ: კონერუ - 7, მუზიჩუკი - 6,5, ძაგნიძე - 6, ბათჩიმეგი, უშენინა, კოსინცევა - 5-5, გირია, დრონავალი, სტეფანოვა, ჩმილიტე - 4,5-4,5, დანიელიანი - 4, ხოტენაშვილი - 3,5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: კოსინცევა - ჩმილიტე, ხოტენაშვილი - უშენინა, მუზიჩუკი - დანიელიანი, სტეფანოვა - დრონავალი, კონერუ - ბათჩიმეგი, ძაგნიძე - გირია.

**ვაჟა დანელია**

## უკრაინასთანაც დამარცხდნენ

მოსკოვში გრძელდება ვლადიმირ დვორკოვიჩის საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც წრიული სისტემით 17-წლამდელ მოჭადრაკეთა 8 გუნდი მონაწილეობს. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა გუშინ უკრაინასთანაც დათმო მატჩი - 1,5:2,5 (ოლექსანდრ ბორტნიკი - გიორგი სიბაშვილი 1:0, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - პავლო ვორონცოვი 0,5:0,5, ევგენი შტემბულიაკი - ნიკა ლვამბერია 1:0, მარიამ ჭოლაძე - მარია ბეზკოროვაინა 1:0). დანარჩენი შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ჩინეთი - დვორკოვიჩის გუნდი 2,5:1,5, აზერბაიჯანი - ბელარუსი 3:1, რუსეთი - პოლონეთი 3,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულით რუსები (ქულათა საერთო რაოდენობა - 10,5) და უკრაინელები (9,5) მეწინავეობენ.

**ვაჟა დანელია**

## ნაგება გამოუცხადებლობისთვის

ქართველი დიდოსტატი **ლევან აროშიძე**, როგორც გაუწყეთ, ესპანეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ჩაება. პირველ ორ ტურში მან ერთი პარტია მოიგო, ერთიც ყაიმით დაასრულა. გუშინ თეთრი ფიგურებით მასპინძელ მარკ სანჩესს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მეტოქეს არ გამოუცხადდა და წაგება ჩაეთვალა.

შეჯიბრებაზე 3-3 ქულით ფილიპ პანჩევსკი (მაკედონია), ორელვის პერესი, ხავიერ მორენო (ორივე - ესპანეთი) და მაურიციო ფლორესი დაწინაურდნენ.

**ვაჟა დანელია**

### თარიღები და მოვლენები

**28-30 ივნისი**

**28. 06. 1986.** დაიბადა **გიორგი ნავალოვსკი**-ფეხბურთი

**29.06. 1962.** შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში თბილისის „დინამომ" კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში, მადრიდის "რეალი" 90:83 დაამარცხა. "დინამოს" **ოთარ ქორქია** წვრთნიდა. ჩემპიონთა თასის მფლობელები გახდნენ: **გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ლევან ინწკირველი, ვლადიმირ უგრეხელიძე, ვალერი ალთაბაევი, ილარიონ ხაზარაძე, ამირან სხიერელი, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა და რევაზ გოგელია.**

**30. 06. 1911.** დაიბადა **არჩილ მდივანი** — ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1937 წელს

**30. 06 2011. ფეხბურთი.** ევროპალიგის საკვალიფიკაციო მატჩში „დინამომ" „მილსამი" 2:0 დაამარცხა, „მეტალურგმა" - „ბანანცი" - 1:0.

**30. 06. 2012. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მე-3 ადგილისთვის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ტონგასთან 29:31 წააგო.

**30. 06. 2012. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** დორტმუნდის დიდ პრიზზე **რევაზ ლაშხი** (60 კგ) ჩემპიონი გახდა, **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84) და **სოსო ჯაბიძემ** (96) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

### ვაზუსტებთ!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „დინამო" ამოძრავდა" ზემოდან მეორე სვეტის მეორე აბზაცში უნდა იკითხებოდეს **ნოდარ სირბილაშვილი.**

რეგიონი. კალათბურთი

## გორელები შინაურ არენას და გამარჯვებებს შეეჩვივნენ

**წლეულს ახალგაზრდა გორელ კალათბურთელებს წარმატებული წელიწადი ჰქონდათ. ქალაქის ცენტრალურ სასპორტო სკოლაში მოქმედმა კალათბურთის სექციის გუნდებმა ქვეყნის რამდენიმე ასაკობრივ პირველობაზე იასპარეზეს და საკმაოდ რიგიანადაც. 14-წლამდელთა პირველობაზე „გორი" მეორე ადგილზე გავიდა. 13-წლამდელები ნახევარფინალურ ეტაპზე არიან და განაგრძობენ ბრძოლას მაღალი ადგილებისათვის. მათზე უმცროსი ასაკის (2001 წ. დაბ.) კალათბურთელებმა კი საუკეთესო ოთხეულში დაასრულეს გამოსვლა.**

გორელი კალათბურთელების შარშანდელთან შედარებით უკეთ ასპარეზობაში გარკვეული როლი საშინაო შეხვედრების შინაურ არენაზევე გამართვამ ითამაშა. ადრე ისინი მხოლოდ პირობითად თუ იწოდებოდნენ მასპინძლებად, რადგან ამ ქალაქის ცენტრალური სასპორტო სკოლის დარბაზი არასახარბიელო მდგომარეობაში იყო და ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად არ გამოდგებოდა. გასულ წელიწადს დარბაზის კაპიტალურმა რემონტმა და მოგვიანებით ტაბლოს დამონტაჟებამ გორელებს საშინაო შეხვედრების შინ გამართვის საშუალება მისცა. ეს სიკეთე კალათბურთის აქაურმა გუნდებმა შემდეგში დიდად დააფასეს.

საქართველოს 14-წლამდელთა პირველობის ფინალისტ გორის კალათბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ზვიად ინაურია, ასისტენტები ზურა კარტოზია, დათო რუსიშვილი და იოსებ ხაჩიური. 14-წლამდელთა შეჯიბრებაში, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო თავდაპირველად ორ რვაგუნდიან ჯგუფებად გაყოფილი 16 გუნდი ჩაერთო. საკუთარ ქვეჯგუფში გორელებმა 14 მატჩიდან 13 მოიგეს, ერთადერთი მარცხი იწვნიეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. პლეი ოფში გასულებმა მეოთხედფინალურ ეტაპზე ქუთაისი ჩამოიცილეს გზიდან, ნახევარფინალში რუსთავის საკმაოდ ძლიერ კოლექტივს აჯობეს, ხოლო ფინალში ჩვენი ქვეყნის 14-წლამდელთა ასაკობრივი ნაკრების საბაზო გუნდ „პიუნდაისთან" დამარცხდნენ. ნიშანდობლივია, რომ ჩემპიონ „პიუნდაის" ამ ასაკობრივი ნაკრების თავკაცი **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** უდგას სათავეში. იგივე კოლექტივი შარშან 13-წლამდელთა პირველობის გამარჯვებულიც გახდა. თავისი გუნდის თამაშმა განაპირობა. საგულისხმოა, რომ საერთო შედეგებით სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოები ჩვენი კალათბურთელებიც გახდნენ პირველობის საუკეთესო ბომბარდირად რატი მდივანი აღიარეს, ბურთის მოხსნებით კი ყველას გიორგი პაპიაშვილმა აჯობა. ქალაქის ხელმძღვანელობის მადლობელი ვართ თანადგომისათვის. ვფიქრობ, რომ მათთვის და სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებისთვის გორში იმედი არ გაგვიცრუებია" - გვითხრა ზვიად ინაურმა.


გორის 14-წლამდელ კალათბურთელთა გუნდი დაჯილდოების შემდეგ

გამოსვლით გორელთა მთავარი მწვრთნელი **ზვიად ინაური** კმაყოფილია. „იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონატში წინ ფაქტობრივად მხოლოდ ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდი გავუშვით - „გორის" შედეგი დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიო. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ შარშანდელ საქართველოს პირველობაზე ჩვენ ბოლოსწინა ადგილზე გავედით და წლეულს მნიშვნელოვანი აღმასვლა შევძელით. ეს შედეგი მწვრთნელებისა და კალათბურთელების თავდაუზოგავმა შრომამ და გუნდის ამჯერად უკვე საშინაო მატჩების გორის დარბაზში

ქალაქში ამ ეტაპზე არ არსებობს 14 წელზე უფროსი ასაკის კალათბურთელთა გუნდი, რაც ბუნებრივია, აღნიშნული ასაკს გადაცილებულ პერსპექტიულ სპორტსმენებს აიძულებს თამაში სხვაგან განაგრძონ. თუმცა როგორც შევიტყვეთ, მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურში ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობენ. *„პირველ ყოველისა 14-წლამდელთა გორის კალათბურთის გუნდის ასპარეზობით მინდა უდიდესი კმაყოფილება გამოვხატო. მთლიანად ადგილობრივი სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ფაქტობრივად მხოლოდ ამ ასაკში საქართველოს ნაკრებთან დათმო პირველობა. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს 16-წლამდელთა გუნდი ჩამოვაყალიბოთ და მომავალი წლიდან ამ ჩემპიონატშიც ჩავერთოთ. საამისოდ ბევრს ვმუშაობთ. იმედია, იქნება ადგილობრივ მწვრთნელთა მხარდაჭერაც. გორს აქვს პოტენციალი, რომ ამ ასაკშიც ძლიერი გუნდი გაიყვანოს"* - გვითხრა გორის სპორტის სამსახურის უფროსმა **თეა კეჩხუაშვილმა.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

კალათბურთი. ს-11



## ქუთაისის აისი

„ქუთაისი" საქართველოს ჩემპიონია. **ზვიად ცერცვაძის** და **გიორგი პირტახიას** განვრთნილმა იმერულმა კლუბმა 11-წლამდელთა პირველობა წაუგებლად დაასრულა.

ფინალური მატჩი ქუთაისელებმა „აკადემიას" მოუგეს. ეს უკანასკნელი კი 11 ივნისს დასრულებული თბილისის მინისაკალათბურთო ფესტივალის გამარჯვებულია.

ქუთაისელებმა ისე მოიგეს ფინალი, საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. პირველმა ოთხეულმა, რომელმაც საწყის პერიოდში ითამაშა, აკადემიელებს 11:7 მოუგო. იმერულ კლუბს მთავარი კოზირი - ტანმაღალი მერკვილაძე მეორე მეოთხედისთვის ჰყავდათ შემონახული და მოედანზე გამოსულმა ქუთაისელთა ცენტრმა თავის გუნდს ფარქვეშ ძალა შემატა. მეორე მეოთხედი იმერლებმა 15:11 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის 7 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა, ქუთაისელები მთელი ჟინით და შემართებით თამაშობდნენ. ისინი იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე და უზომოდ გაიხარეს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთა ამ გუნდს აქამდე ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია და დებიუტი ჩინებული გამოუვიდა - პირველივე ცდაზე საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ფინალის შემდეგ მოეწყო დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც პრიზიორი გუნდები მედლებით, სიგელებით და საჩემპიონო თასით ვეტერანმა კალათბურთელებმა - **ანტონ კაზანჯიანმა** და **ვალერი ლომიძემ** დააჯილდოეს.

ყველა გუნდიდან გამორჩეულ 2-2 მოთამაშეს კალათბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურები გადაეცა.

**27 ივნისი. ფინალი**

| აკადემია-ქუთაისი | 36:48 |
|---|---|

**6:9, 11;15, 4:7, 15:17**

**აკადემია:** ტ. ქრიული (12), გ. გოდერძიშვილი (10)...

**ქუთაისი:** ა. მერკვილაძე (16), მ. კაპანაძე (8)...

superleague.ge




ელ-ფოსტა ან მობილური | პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი | •••••••••• | ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ | დაგავიწყდათ პაროლი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლეადორი ხელთაგვი

ამას წინათ ეზოში კალათბურთს ვთამაშობდით. არ გეგონოთ, ახალდამონტაჟებულ ფარზე, ასეთები ჩვენს უბანს ერთიც აღარ შერჩა - ჩამოტეხეს, ახალი კალათის დაკიდება კი... მოკლედ, დაახლოებით 30-35 წლის წინანდელ, მამაპაპურ რკინის ფარზე ვთამაშობდით. მეზობელმა გვერდიდან გვიყურა და თავი გადააქნია:

- ჩემი შვილი ვერც დარბის და ვერც ესვრის. არადა, იცი, რა მაგარია სახლში?! - კომპიუტერში კალათბურთის თამაშში ვერავინ სჯობნის!

არადა რამდენი მულტფილმი გადაიღეს ტრანსფორმერებზე, თუ ანიმაციებში ადამიანს მანქანად გადაქცევა შეუძლია, რატომ არ შეიძლება კომპიუტერში როგორც თამაშობ, სინამდვილეშიც ისე ითამაშო ფეხბურთი ან კალათბურთი?! ეჰ, ნეტავ ეს შესაძლებელი იყოს, არც ფეხბურთელთა ნაკრებს გამოელეოდა რესურსი და არც კალათბურთელებს.

მაგრამ ვირტუალური და რეალური სამყაროები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. პირველში შეგიძლია მესი გაწვრთნა, ან ბრაიანტად იქცე და კომპიუტერის მწვანე მინდორზე წინ ვერავინ დაგიდგება, გმირობაც გარანტირებული გაქვს. თან რა კარგ რამეს გვასწავლის დასავლური ცივილიზაცია: ბავშვს არაფერი დაუშალოთ, არც ხმამაღალი სიტყვა უთხრათო... სკოლის მერე 5 საათს კომპიუტერის წინ, კისერნაგრძელებული რომ გაატარებს, რა უფლება გაქვს დაუშალო? ამას რა სჯობს: ხუთი საათის განმავლობაში ბავშვი აღარ შეაწუხებს მშობელს, რომელსაც შეეძლება ყავის დასალევად მეზობელთან გასვლა ან შინ მოპატიჟება და ა.შ. პროგრამის „5 საათი კომპიუტერთან" კიდევ ერთი პლუსი იცით, რა არის? - ბავშვი გარეთ გასვლას არ მოითხოვს, ეზოში არ ირბენს, არ გაოფლიანდება და არც გაცივდება. აბა! გგონიათ, ეს პრობლემა ცოტას აღელვებს? მაგალითი ჩემი ნათესავის ბავშვია, რომელმაც გაკვეთილებზე მეგობართან ერთად ტრანსპარანტი დაწერა: „ჩაგვიტარეთ ფიზკულტურა!" ზამთრის თვეებში მასწავლებელი დარბაზში შეყვანის ნაცვლად კლასში, მერხთან ტოვებდა. მოსწავლე შინ ტირილით მივიდა და ყველაფერი მამამისს უამბო - დამრიგებელი გვეჩხუბა, ეს რა დაგიწერიათ, ფიზკულტურა აღარ გეღირსებათ, სანამ არ დათბებაო. ჩემი ნათესავი სიტუაციაში გასარკვევად მასწავლებელთან მივიდა. როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე მშობლის მოთხოვნა იყო ზამთარში არ არბენინოთ, გაოფლიანდებიან და გაცივდებიანო.

ცხოვრება წინ მიდის, ყველა საქმეში ოპტიმიზაციას ვხვდებით. რა საჭიროა უბანში ფეხბურთელების შეკრება, როცა კომპიუტერში ერთი დაწკაპუნებით შეიკრიბებიან მესი, რონალდო, ინიესტა, რობენი, რიბერი, იოზილი, ხედირა... რომლებიც ნამდვილად სჯობიან უბნელ გოგას, გიგას, გაგას, გუგას, გეგას, გიგის...

ერთი დაწკაპუნება კი ვახსენე, მაგრამ მეტისმეტი მომივიდა - 4-5 „დაკლიკება" საჭირო ფეხბურთის ჩასართავად: ჯერ კომპიუტერის ჩამრთველ ღილაკს უნდა შევეხოთ, შემდეგ ხელთაგვის ციმციმა ფიფა-2013-ის „იკონკაზე" მივანიშნოთ და ორჯერ დავაწკაპუნოთ. ავირჩევთ ტურნირს, „ენთერით" შევალთ და გამოჩნდება გუნდების ჩამონათვალი. კიდევ ერთი „ენთერი" და თქვენს განკარგულებაში არიან მესი, ჩავი, პუიოლი... ხომ იოლია?



გაცილებით რთულად იყო საქმე ჩემს პატარაობაში: უნდა ჩამომევლო სამეზობლოში, ჯერ მეკარეს, ბექას შევძახებდი, შემდეგ მიშიკოს, ჩვენთან შედარებით უმცროს ლობრას წავიყვანდით და ქვემოუბნელებს მივადგებოდით. თაბუაშვილები და ნიპარიშვილები ჩვენზე ძლიერები იყვნენ, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით. დამატებითაც ვვარჯიშობდით. მახსოვს, ერთ დღეს მეზობელმა შავი ქვიშა მოიტანა. მაშინვე თვალი დავადგით - მე და ბექა მეკარეობის ხელოვნებას ვხვეწდით და ქვიშაში იმდენი ვიხტუნავეთ, ვიდრე გაშავებულები მშობლებმა პირდაპირ აბანოში არ შეგვყარეს.

ამას წინათ გოტფრიდ ლენცმა გაიხსენა: ცოტა რომ წამოვიზარდე, მეგობართან ერთად მწვრთნელობაში შეჯიბრება გადავწყვიტე. ავარჩიეთ უმცროსი ბავშვები, პოზიციებზე გავანაწილეთ და ხშირად ვეთამაშებოდით ერთმანეთს. იყო შემთხვევა, როცა ჩემი გუნდიდან ბავშვი მეგობართან გაიქცა... მე დაცვაში ვათამაშებდი, ახალ გუნდში თავდამსხმელობას დაჰპირდნენ. იოლია?

თანამედროვე ბავშვს თავისი გუნდის საკუთარი გემოვნებით შემოსვის საშუალებაც აქვს. კომპიუტერის ეკრანზე ჩნდება მინიშნება, რომლის მიყოლის შემთხვევაშიც თქვენ წინაშე გადაიშლება ემბლემების, ფორმების დიზაინისა და ფერების თვალუწვდენელი პალიტრა. შესაძლებელია ფორმას ერთი ზოლი გააყოლო, თუ გნებავს მხარზე ურჩხულს დაახატავ, ნომერს რა შრიფტითაც მოისურვებ, იმით დააწერ. თუნდაც წყვეტილი იყოს. ხომ იოლია?



წყვეტილი ბევრისთვის მშობლიური „შრიფტია". პირველად გივია ძიასგან ვისწავლე. იგი მხატვარი იყო და ფეხბურთის მოყვარულები ქალაქის შორეული კუთხეებიდანაც მოდიოდნენ - მაისურებზე ნომრებს უფასოდ აწერდა. კალკის ფურცლებზე სხვადასხვა ნომერი ჰქონდა ამოჭრილი, დაადებდა მაისურის ზურგს და სალებავში ჩაწებული ღრუბლით ნომერს აწერდა. ოღონდ აცეტონიანი სალებავი უნდა ყოფილიყო, რადგან ზეთიანი ძალიან ხმებოდა და ფორმა უხეში ჩასაცმელი გახდებოდა. ყველაზე პოპულარული ათიანი იყო. ნულიანი კალკაზე მთლიანად რომ ამოეჭრა, დაწერისას ბურთს დაემსგავსებოდა. ამიტომ საჭირო იყო შიგნით კიდევ ერთი რკალის დატოვება. ეს რკალი კი პატარა ზოლებით ნულიანის გარეთ, ფურცელთან იყო დაკავშირებული და ნომერი ამიტომაც იხატებოდა წყვეტილი შრიფტით (თანამედროვე ენაზე რთული რამ ავხსენი, მაგრამ ვისაც ხელით დაწერილი მაისური სცმია, იოლად მიხვდება).

შემდეგ ჭრა-კერვაზე გადავედით, 1990 წელს გერმანიის ნაკრებს რომ ჰქონდა, სწორედ ისეთი ზოლები (შავწითელ-ყვითელი) მივაკერეთ თეთრ მაისურს. 1996 წელს ბიძაჩემ ჯემოსთან ერთად ინგლისის ნაკრების შორტი შევკერე, შავი ფერისა იყო და გვერდზე ლურჯ-თეთრი ნაჭრები ჰქონდა ჩადგმული. იოლია?

კომპიუტერში ვირტუალური გუნდი ავარჩიეთ, შევმოსეთ. ახლა თამაშის დროა. შეგვიძლია საკლუბო ჩემპიონატში ჩავერთოთ, სანაკრებოც საინტერესოა, შეჯიბრების ფორმატის შერჩევასაც ერთი დაწკაპუნება შველის - ოლიმპიური სისტემა, ჯგუფური... კომპიუტერი იმდენად ჭკვიანია, ბავშვს თუ სურვილი ექნება, შეუძლია თავისი გუნდით მეორე ლიგიდან დაიწყოს, უმაღლეს ლიგას მიაღწიოს და მესამე წელს ჩემპიონთა ლიგაზეც იასპარეზებს (თუ თითებს ისე გაიწაფავს, რომ ლიგის საგზურს მოიპოვებს).

კომპიუტერის მაგიდასთან მოკალათებულმა მოზარდმა უშუალოდ თამაშის წინ ტაქტიკა საკუთარი გემოვნებით უნდა აარჩიოს, 4-4-3, 2-3-3-2, 5-4-1... აარჩიოს ბურთი, „ჯაბულანი" უნდა თუ „პუმის" ფირმისა... აარჩიოს მოედანი, „სანტიაგო ბერნაბეუ", „სან სირო"... აარჩიოს დრო, 5 წუთი, 10, 15... აარჩიოს ამინდი, წვიმა, ქარი, თოვლი...

ხომ იოლია?

ჩემს პატარაობაში ბექასთან, მიშიკოსა და ლობრასთან ერთად სხვა უბანში რომ ჩავიდოდი, თუ ბევრი ბავშვი დაგვხვდებოდა, სამგუნდიან ტურნირს ვთამაშობდით. თუმცა მოცდა არავის უყვარდა, გვერჩივნა, ყველა ორ გუნდში გავნაწილებულიყავით და მოედანზე ერთდროულად გვერბინა. ასეთი იყო ჩვენი გათამაშების ფორმატი.

მოედანი? უკეთესს ვერც ინატრებდი: ქვიანი რელიეფი, კიდეებზე ამაღლებებით (ზოგან ქვიშა ეყარა, ზოგან ნაკელი...) და რაც მთავარია, ერთი გუნდი ყოველთვის აღმართში უტევდა. სამართლიანობის პრინციპს ვიცავდით და ვინც ძლიერი იყო, სწორედ იმ გუნდის კარი იყო ქვემოთ.

ბურთი? არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისეთი ბურთები გვქონდა, რაც უფრო ძველდებოდა, მით უფრო მატულობდა ზომაში. მეზობლების ბაღში ფრენაც უყვარდათ და მანქანების ბორბლებქვეშაც. მახსოვს, ერთი ახალთახალი ბურთი თეთრმა „ზაპოროჟეცმა" გაგვიხეთქა. დახეული ბურთების კერვა ხომ ყველას შეგვეძლო, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უკეთესად დააკერებდა.

ამინდი? ვერც ამინდს ვირჩევდით, მაგრამ სიცხეში თამაშს წვიმა გვერჩივნა. შესაძლოა, „მოედანი" მშრალი ყოფილიყო, მაგრამ ბურთი მაინც გვიტალახიანდებოდა - რაც რუში მიმავალი სარწყავი წყლის დამსახურება იყო. თუ ბურთს ცალი გვერდი მოესვრებოდა, ბალახზე ვწმენდდით, თუ მთლიანად დასველდებოდა, ერთს ვანარცხებდით, ცოტა რომ ჩამოწურულიყო და თამაშს ვაგრძელებდით. იოლი იყო?

კომპიუტერში ამა თუ იმ ტურნირის მოგების შემდეგ ეკრანზე ჩნდება თასის გადაცემის ცერემონიალი, ტაში, ფოტოაპარატების ნათება და... გჩუქნიან ფულს ახალი ვირტუალური ფეხბურთელების დასამატებლად. ხომ იოლია ფულის შოვნის ასეთი გზა?

უბანში ფეხბურთს რომ ვთამაშობდით, არც ტაშს გვიკრავდნენ, არც მონადირეებივით ჩასაფრებული ფოტორეპორტიორები გვიმზერდნენ, არც თასს გვაძლევდა ვინმე. ამ ყველაფერს ემოცია გადაფარავდა ხოლმე - გულიდან ამოსული ემოცია, რომელსაც გამარჯვებული გუნდის თითოეული წევრი ერთად იზიარებდა, გაგულისებული ნაგებულები კი რევანშის იმედად ხელახლა თამაშს ითხოვდნენ. ...ასე გრძელდებოდა, ვიდრე მოედანზე ღამურები არ შემოიჭრებოდნენ და ერთ-ერთის მშობელი არ დაგვიძახებდა - დაღამდა, თქვენ არ ჩანხართ და ბურთს როგორღა არჩევთო.

***აი ასე შეიცვალა დრო და სლოგანი „ხუთი საათი ბურთთან" სლოგანმა „ხუთი საათი კომპიუტერთან" ჩაანაცვლა. არ ვამტკიცებ, რომ დღეს ეზოში, ტალახში ფეხბურთს არავინ თამაშობს და ყველა ბავშვი კომპიუტერსაა მიჯაჭვული, მაგრამ არის ალბათობა. ბევრი ნიჭიერი პატარა სპორტს ვირტუალურმა სივრცემ წაართვას. არადა, სად ჰყავს საქართველოს დასაკარგავი ტალანტები?!***

***მთის მდინარე იცით რატომაა ლამაზი სანახავი, რატომ ისმება მისი წყალი? იმიტომ, რომ მუდმივად მოძრაობს, გარბის სადღაც მიიჩქარის, რაც მეტ ენერგიას ხარჯავს, მით მეტი ძალით ივსება.***

***ჭაობი რატომ ყარს? იმიტომ, რომ მასში წყალი უძრავადაა, არც გაედინება და არც ჩაედინება.***

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი

# მსოფლიოს ჩემპიონატს ამერიკით ვიწყებთ

**დღეს საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებმება. ჩვენი გუნდი მოსკოვში ორი დღის წინათ გაემგზავრა და მომავალი ბატალიებისთვის მზადებას ადგილზე განაგრძობს.**

ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე D ჯგუფში იასპარეზებს. მეტოქეები მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტ ახალი ზელანდიის ნაკრებთან ერთად კანადისა და აშშ-ის შვიდკაცა რაგბის გუნდები იქნებიან. ჯგუფი ურთულესია. ახალზელანდიელებზე რომ არაფერი ვთქვათ, კანადა და აშშ რეგულარულად ასპარეზობენ შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიაში. მათი მოთამაშეები ძირითადად შვიდკაცა რაგბით არიან დაკავებულნი და შესანიშნავად შეთამაშებული.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გამოცდილებისა და ახალგაზრდობის სინთეზია. **ბიძინა სამხარაძეს** (ტიმიშოარა) და **მერაბ კვირიკაშვილს** (სენ ჟუნიენი), **ალექსანდრე თოდუას** (ალბი), **ირაკლი გეგენავას** (ლელო) და **ვიქტორ კოლელიშვილს** (ლიონი) ოთხი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის გამოცდილება აქვთ.

მათ გარდა მწვრთნელებმა **კახა ალანიამ** და **პალიკო ჯიმშელაძემ** ახალგაზრდა მოთამაშეების მთელი ჯგუფი მიიწვიეს, რომელთა ნაწილს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. ესენი არიან: **მერაბ შარიქაძე** (აკადემია), **ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე** (ორივე-აია), **გიორგი ჯიმშელაძე** და **ბახვა კობახიძე** (ორივე-არმია). ნაკრებს დაუბრუნდა შუამარბი **რეზო გიგაური** (მონლუსონი).

საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს თბილისის დროით 16 საათსა და 6 წუთზე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან გამართავს. ხვალ 9 საათსა და 44 წუთზე ჯერ ახალი ზელანდიის ნაკრებს დავუპირისპირდებით, მერე, 13 საათსა და 46 წუთზე, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში კანადას ვეთამაშებით.


კაპიტნები წითელ მოედანზე

**საქართველო**

გიორგი ჯიმშელაძე, ბახვა კობახიძე (ორივე-არმია), ბიძინა სამხარაძე (ტიმიშოარა), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), რევაზ გიგაური (მონლუსონი), შალვა მახარაშვილი (ბათუმი), ირაკლი გეგენავა (ლელო), მერაბ შარიქაძე (აკადემია), ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე (ორივე-აია).

**კანადა**

ნანიაკ დელა, ტაისენ დე გუდი, ჯასტინ დაგლასი, შონ დუკი, მიკე ფუაილეფაუ, ლუკას ჰამონდი, კირან ჰირნი, ნათან ჰირაიამა, ჰარი ჯოუნზი, ფილ მაკი, ჯონ მუნლისი, ტეილორ პარისი.

**ახალი ზელანდია**

კურტ ბეკერი, ტომასი ცამა, სკოტ ქერი, სემ დიქსონი, დი ჯეი ფრობსი, ბრაის ჰიმი, ჯილის კაკა, ტიმ მიქელსომო, ვაისაკე ნაჰოლო, ლოტე რაიკაბულა, დევიდ რაიკუნა, შერვინ სტოუერსი.

**აშშ**

კარლინ იზლისი, ნიკ ედვარდსი, ენდრიუ დურუტალო, შალომ სუნიულა, ზაკ ტესტი, მეთ ჰავკინსი, ფოლან ნიუა, ჯეკ ჰალალილო, მაკა უნუფე, მაიკ პალეფაუ, კოლინ ჰოული, ბრეთ თომპსონი.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**A ჯგუფი:** ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ტუნისი.

**B ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია, რუსეთი, იაპონია.

**C ჯგუფი:** სამოა, კენია, ზიმბაბვე, ფილიპინები.

**D ჯგუფი:** ახალი ზელანდია, კანადა, აშშ, საქართველო.

**E ჯგუფი:** ფიჯი, უელსი, ტონგა, ურუგვაი.

**F ჯგუფი:** ინგლისი, არგენტინა, პორტუგალია, ჰონკონგი.

**28 ივნისი**

საქართველო-აშშ

**29 ივნისი**

საქართველო-ახალი ზელანდია
საქართველო-კანადა

ტესტები


დენი ლიდიატი

# ლომების შანსი 16 წლის შემდეგ

**ავსტრალიის ნაკრები შაბათს, მელბურნში „ბრიტანელ ლომებს" ტურნეს მეორე მატჩში დაუპირისპირდება. პირველი შეხვედრა, რომელიც ბრისბენში გაიმართა, ბრიტანელებმა უშელავათო ბრძოლაში ორი ქულის სხვაობით მოიგეს - 23:21.**

„ვოლაბების" მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული ფულბეკის, **ბერიკ ბარნსის** ადგილს **ქართლი ბეილი** დაიკავებს, რომელიც პირველ მატჩში სათადარიგოთა შორის იყო და შეცვლაზე შესულს მასპინძლებისთვის გამარჯვების მოტანა შეეძლო. დაშავდა ასევე გარემარბი **დიგბი იოანი,** რომელსაც **ჯო ტომანე** შეცვლის.

დინსმა სათადარიგოებს ორი ახალი მოთამაშე, ცხრა ნომერი **რობ ჰორნი** და გარემარბი **ჯეს მოგი** დაამატა. ალსანიშნავია, რომ პირველხაზელი **ბენ ალექსანდერი** ამ მატჩის შემდეგ 38-ე ავსტრალიელი იქნება, რომელსაც 50 და მეტი კეპი აქვს მოხვეჭილი ეროვნულ გუნდში. „ვოლაბების" პირველხაზელთაგან მასზე მეტი კეპი აქვთ: **ალ ბაქსტერს** (69), **ბენ რობინსონს** (57) და **უეინ მაკენზის** (51). ამჟამინდელი შემადგენლობიდან კი ყველაზე მეტი შერკინების კვაჭ **სტივენ მურს** უთამაშია. ის შაბათს თავის 78-ე ტესტს გამართავს.

ავსტრალიის ნაკრების რიგებში არ იქნება გარემარბი **იზრაელ ფოლაუ,** რომელმაც თავის სადებიუტო მატჩში ერთი კვირის წინათ „ბრიტანელ ლომებს" ორი ლელო გაუტანა. ამ ქვეყნის რაგბის ისტორიაში ის მეორე მორაგბეა, რომელმაც ეს შეძლო. პირველი შორეულ 1923 წელს **ოუენ კროსმანი** გახლდათ, რომელმაც ახალზელანდიელ მაორებთან მატჩში ჩათვლის მოედანში ორჯერ შეაღწია.

პირველ მატჩში გამარჯვების მიუხედავად, როგორც ჩანს, გუნდის თამაშით უკმაყოფილოა ბრიტანელი ლომების თავკაცი **ოურენ გეთლენდი.** მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხუთი ცვლილება განახორციელა.

ცხრა ნომრის პოზიციაზე **მაიკ ფილიპსის** ნაცვლად **ბენ იანგზი** ითამაშებს. ძირითად შემადგენლობაშია მისი ძმა, შერკინების კვაჭი **ტომ იანგზი.** ფლანკერი **ტომ კროფტის** ნაცვლად **დენი ლიდიატი** იქნება. გარემარბ **ალექს კატბეტრტს** გეთლენდმა ამჯერად **ტომ ბოუი** ამჯობინა. კიდევ ორი ცვლილება იძულებითია. ტრავმირებული **პოლ ოკონელის** ადგილს, რომელმაც ხელი მოიტეხა, **ჯეფ პერლინგი** დაიკავებს, პირველხაზელ **ალექს კორბისეროს** კი **მაკოვინა ვუნიპოლა** შეცვლის.

*„ერთი მატჩი უკვე მოვიგეთ და შესანიშნავი შანსი გვაქვს, რათა 1997 წლის შემდეგ ტურნეში პირველად გავიმარჯვოთ. 16 წელიწადი ელოდო წარმატებას, ძალიან ბევრია. 2009 წელს მიზანთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ცოტა დაგვაკლდა. ამიტომ, ამ უქმეებზე თითოეული მოთამაშე მაქსიმალურად იქნება მობილიზებული.*

*რამდენიმე მოთამაშემ ვარჯიშებზე დადებითად წარმოაჩინა თავი და ამიტომ ძირითად შემადგენლობაში დავანინაურე. ეს ჩვეულებრივი ამბავია „ბრიტანელი ლომების" ტურნეს მსვლელობისას. ჩვენ ვირჩევთ იმათ, ვინც უკეთეს ფორმაში იმყოფება და შეძლებს ტურნეს მოგებაში დაგვეხმაროს"* - თქვა „ბრიტანელი ლომების" თავკაცმა უორენ გეთლენდმა.

**ავსტრალია**

**15. ქართლი ბეილი, 14. იზრაელ დაგი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. კრისტიან ლეალიიფანო, 11. ჯო ტომანე, 10. ჯეიმზ ოკონორი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტეფ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. კენი დუგლასი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. ბენ მოვენი, 7. მაიკლ მური, 8. ვილკუფი პალუ.**

**16. საია ფაინგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. სეკოპე კეპუ, 19. რობ საიმონსი, 20. ლიამ გილი, 21. ნიკ ფიპსი, 22. რობ ჰორნი, 23. ჯეს მოგი.**

**ბრიტანელი ლომები**

**15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ტომ ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. ჯონათან დევისი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. ბენ იანგზი. 1. მაკოვინა ვუნიპოლა, 2. ტომ იანგზი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ალუნ ვინ ჯოუნზი, 5. ჯეფ პერლინგი, 6. დენი ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. რიჩარდ ჰიბარი, 17. რაიან გრანტი, 18. დენ კოლი, 19. ტომ კროფტი, 20. შონ ობრაიანი, 21. კონორ მურეი, 22. ოუენ სფარელი, 23. ალექს კატბერტი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

მეტოქეები

# რუსების მწვრთნელი ნიუპორტში

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი კონკურენტი მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე რუსეთის ეროვნული გუნდია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მთავარი მწვრთნელი უელსელი **კინგსლი ჯოუნზია,** რომელიც ახლახან „ნიუპორტ დაგონზის" თავკაცის ასისტენტად დაინიშნა.

ალსანიშნავია, რომ ჯოუნზი რუსეთის ნაკრებში მუშაობის პარალელურად აქამდე ინგლისური „ლონდონ ველშის" ერთ-ერთი დამრიგებელი იყო. რა გავლენას იქონიებს ჯოუნზის ეს დანიშვნა რუსეთის ნაკრების თამაშზე, ძნელი სათქმელია. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ მის ხელში ჩვენს მეტოქეს პროგრესის ნიშანწყალიც არ ეტყობა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, „ბორჯღალოსნები" პირველ ადგილზე არიან, რუსები კი მესამე საფეხურზე იმყოფებიან და სავარაუდოდ, მეორე წრეში სწორედ მისი შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ.

# ზოგი მიდის, ზოგი ბრუნდება

ზე რაგბის წლევანდელი გათამაშება დასასრულს უახლოვდება. თუმცა ამ შეჯიბრებაში მოასპარეზე გუნდები მომავალი სეზონისთვის თადარიგს წინდაწინვე იჭერენ. ასე, მაგალითად, ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა ჰემილთონის „ჩიფსმა" ახალი სეზონისთვის მოთამაშეების შეგულება უკვე დაიწყო.

ჰემილთონელების მხედველობის არეალში ისევ მოხვდა „უძღები შვილი" **სონი ბილ ვილიმსი,** რომელიც წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ავსტრალიაში გადაბარგდა და სიდნეის რაგბი ლიგის გუნდში განაგრძობს კარიერას.

გავრცელებული ინფორმაციით, სონი ბილი ისევ რაგბიში დაბრუნებას აპირებს და ამიტომაც, „ჩიფსმა" წინასწარ განაცხადში მისთვის ადგილი შემოინახა. დაბრუნდება თუ არა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბი ახალ ზელანდიაში, ამას 2014 წლის დასაწყისში ვნახავთ.


ჟოზი დაგვემშვიდობა

მანამდე კი რაგბიდან წავიდა საფრანგეთის ნაკრებისა და „ტულუზის" არანაკლებ ძლიერი შუამარბი **იანიკ ჟოზიონი.** მან საფრანგეთის ნაკრებში 73 კეპი მოუხვეჭა და 20 ლელო გაიტანა. „ჟოზი", როგორც მას მეგობრები ეძახიან, ეროვნულ ნაკრებში 2000 წლიდან თამაშობდა და მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა. მან რაგბიდან წასვლა 34 წლის ასაკში გადაწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013



ჯონ ისნერი

## ბალახის ბრალი არ არის

უიმბლდონისორგანიზატორები ოფიციალური განცხადებით გამოვიდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ წლევანდელი ტურნირიდან ტრავმების გამო, ჩოგბურთელთა სარეკორდო რაოდენობა გამოეთიშა ბრძოლას. შეგახსენებთ, რომ მესამე სათამაშო დღეს, უიმბლდონს ჩამოშორდნენ **სტივ დარცისი, ჯონ ისნერი, რადეკ შტეპანეკი, ჟო-ვილფრიდ ცონგა, მარინ ჩილიჩი, ვიქტორია აზარენკა** და **იაროსლავა შვედოვა**. გუშინ, ამ შვიდეულს კიდევ ორი ჩოგბურთელი დაემატა - ფრანგები **მიკაელ ლოდრა** და **პოლ-ანრი მატიო**.

*„ვწუხვართ იმის გამო, რომ სპორტსმენთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო უიმბლდონზე ბრძოლის გაგრძელება. ჩოგბურთელებმა სხვადასხვა მიზეზის გამო თქვეს უარი თამაშზე. ამასთან, ბალახის საფარი აქ არაფერ შუაშია. კორტების მომზადება ისევე მიმდინარეობდა, როგორც გასულ წლებში. ჩვენ ვირწმუნებით, რომ მომავალში საფართან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეიქმნება“*, - წერია უიმბლდონის ოფიციალურ ვებგვერდზე.

## როჯერი: კიდევ მრავალი წელი ვითამაშებ

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** შეაჯამა უიმბლდონზე თავისი გამოსვლა მეორე წრეში უკრაინელ **სერგეი სტახოვსკისთან** წაგების შემდეგ (7:6, 6:7, 5:7, 6:7).

*„აქ უფრო დიდხანს გამოსვლას ველოდი*, - ამბობს ჩოგბურთელი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *მაგრამ, არა უშავს, მე იმ ასაკში არ ვარ, რომ პანიკა დავიწყო. ასეთი ადრეული გამოვარდნის მიუხედავად, საერთოდ არ ვნერვიულობ საკუთარ მომავალზე. კიდევ მრავალი წელი ვაპირებ თამაშს.*

*სასაცილოა, მაგრამ სპეციალისტები ჩემი და ნადალის ერთობლივ მეოთხედფინალს პროგნოზირებდნენ. ამბობდნენ, რომ ჩვენი ასეთი ნაადრევი შეხვედრა გააფუჭებდა ტურნირს. რას ვიზამთ, იმედია, ახლა, ისინი უფრო მხიარულად არიან... მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებმა დაიწყეს ვეტერანების დამარცხება. ისინი ჩოგბურთის მომავალს წარმოადგენენ. მაგრამ ჩვენ კიდევ დაგვრჩა მათთვის სათქმელი“.*

### ამბები

**კრივი**

## ყველა ბილეთი გაყიდულია

ზუსტად ერთ დღე-ღამეში გაიყიდა ბრძოლის ბილეთები, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან პირველ საშუალო წონაში WBA/WBC-ის ჩემპიონი, 22 წლის მექსიკელი **საულ ალვარესი** და მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე, 36 წლის ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი**. ბრძოლა 14 სექტემბერს, ლას ვეგასში გაიმართება.

ბილეთების ღირებულება იყო: 2000, 1500, 1000, 600 და 350 დოლარი.

**ჰოკეი**

## იაგრმა ბოსტონი დატოვა

სტენლის თასის ფინალში წაგების შემდეგ, **იარომირ იაგრმა** „ბოსტონ ბრუინზის“ დატოვება გადაწყვიტა. ამ გუნდში ჩეხი ვეტერანი „დალასიდან“ გადავიდა, „დათვების“ რიგებში 22 მატჩი ჩაატარა, 10 შედეგიანი პასი დააგროვა და ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა.

*„შესაძლოა, პლეი ოფში 20 გოლი რომ გამეტანა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო*, - ამბობს იაგრი. - *მაგრამ, ოცით ნაკლები გავიტანე“.*

სხვათა შორის, იაგრის აგენტმა **პეტრ სლობოდამ** გამოაცხადა, რომ მისი კლიენტი რჩება ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

## გმირი საავადმყოფოში მოხვდა

„ბოსტონის“ ფორვარდი **პატრის ბერჟერონი** სეზონის დახურვის ცერემონიას ვერ დაესწრო. კლუბის გენერალური მენეჯერის, **პიტერ ჩიარელის** თქმით, ცენტრფორვარდი საავადმყოფოში მოხვდა იმის გამო, რომ ფილტვი აქვს გახვრეტილი.

„შეგახსენებთ, რომ სერიის მეექვსე მატჩში ბერჟერონმა გმირული საქციელი ჩაიდინა და ყინულზე გატეხილი ნეკნებით გავიდა“, - იტყობინება ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი.

**მძლეოსნობა**

## ისინბაევა დეკრეტულში გავა

რუსული მძლეოსნობის ვარსკვლავმა, ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ელენა ისინბაევამ** მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ, კარიერაში პაუზის აღება გადაწყვიტა. მძლეოსნის თქმით, ის შვილის გაჩენას აპირებს.

*„კარიერა უნდა შევწყვიტო იმისთვის, რომ გავთხოვდე და ბავშვი გავაჩინო*, - განაცხადა 31 წლის ისინბაევამ. - *ბოლო დროს ამაზე ბევრს ვფიქრობდი. ამ პაუზას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. რა თქმა უნდა, ვფიქრობ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. კარგი იქნებოდა იქ კიდევ ერთი ოლიმპიური მედლის მოგება.*

*რაც შეეხება წელს, მოსკოვში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს, ამ ტურნირზე ძალიან მოტივირებული ვიქნები. ვფიქრობ, კარგად ვარ მომზადებული. ძალიან მინდა მსოფლიოს რეკორდით გავიმარჯვო“.*

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013

# ლონდონში პირველად გაწვიმდა

იმუცნაურობების შემდეგ, რაც უიმბლდონის პირველ სამ დღეს მოხდა, მამაკაცთა ბადეს ტურნირის ერთადერთი ყოფილი ჩემპიონი შემორჩა - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. წლევანდელმა უიმბლდონმა უკვე იმდენი სენსაცია იხილა, რომ ყველა ერიდებოდა მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის წინასწარ გამარჯვების მინიჭებას ამერიკელ **ბობი რეინოლდსთან** შეხვედრაში.

მაგრამ ჯოკოვიჩმა სრულად გაამართლა ფავორიტის სტატუსი. მატჩში ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, სადაც რეინოლდსმა ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა სერბმა მე-13 გეიმში 5:0 დაწინაურება მოახერხა და ამის შემდეგ დაიწყო კორტზე მისი დომინირება.

მეორე სეტში ჯოკომ პირველი მოწოდებით ქულების 91 პროცენტი აიღო და ცხრა ბრეიკ-პოინტიდან ორი გამოიყენა, ხოლო, როცა მესამე პარტიაში 3:0 დაწინაურდა, უკვე ყველაფერი ისედაც ცხადი იყო. თამაში საათი და 54 წუთი გაგრძელდა - 7:6(2), 6:3, 6:1.

რეინოლდსის მეორე ეტაპზე გამოთიშვა იმას ნიშნავს, რომ 1912 (!) წლის შემდეგ პირველად, მესამე წრეში არც ერთი ამერიკელი ჩოგბურთელი არ ითამაშებს. არადა, მამაკაცთა ბადეში ამ ქვეყნის 11-მა წარმომადგენელმა აიღო სტარტი.

ჯოკოვიჩმა მიჰბაძა **ენდი მარეის** და მანაც საწყისი ორი მატჩი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო. ოდნავ მოგვიანებით, იგივე გააკეთა არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**. მან 6:2, 7:6(7), 6:3 მოუგო კანადელ **იესე ლივაინს** და ზედიზედ მესამედ გავიდა უიმბლდონის მესამე რაუნდში. იმასაც შეგახსენებთ, რომ არგენტინელს ამ ტურნირზე არასოდეს მიუღწევია მეოთხედფინალისთვის.

დელ პოტროს მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა, როცა 1:4 ჩამორჩა მეტოქეს, თუმცა მაინც მივიდა ტაი-ბრეიკამდე, იქ 2:4-ს აგებდა, მაგრამ აქაც უშველა მებრძოლმა ხასიათმა. თამაში ზუსტად ორი საათი გრძელდებოდა.

დელ პოტრო და ჯოკოვიჩი მეოთხედფინალის სავარაუდო მეტოქეები არიან. შეგახსენებთ, რომ არგენტინელს უიმბლდონის კორტებზე დამარცხებული ჰყავს სერბი - შარშან, ლონდონის ოლიმპიადაზე მესამე ადგილისთვის მატჩი მოუგო.

ორიოდე სიტყვით სხვა მატჩების შესახებ. გუშინდელი დღის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო კანადელი **მილოშ რაონიჩის** წაგება ჰოლანდიელ **იგორ სისლინგთან** - 5:7, 4:6, 6:7(4). რაონიჩმა აჯობა მეტოქეს ეისების რაოდენობით (22 17-ის წინააღმდეგ), სამაგიეროდ, სისლინგმა ძალიან აკურატულად ითამაშა, ორი საათის განმავლობაში მხოლოდ შვიდი უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამის ხარჯზე გაიმარჯვა. რაონიჩი ზედიზედ მესამე წელია, მეორე რაუნდიდან ეთიშება უიმბლდონს.

სხვათა შორის, კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რომელმაც პირველი ორი მატჩი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო, იაპონელი **კეი ნიშიკორია**. მან 12-დან 5 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა არგენტინელი **ლეონარდო მაიერის** წინააღმდეგ და 7:6(5), 6:4, 6:2 გაიმარჯვა. აზიელისთვის ეს არის ზედიზედ მეორედ უიმბლდონის მესამე წრეში გასვლა.

■ ■ ■

გუშინ ხმაურიანი სენსაცია არც ქალების ტურნირზე მომხდარა. ზედიზედ 33-ე მატჩი მოიგო მიმდინარე სეზონში **სერენა უილიამსმა**. ამჯერად, ამერიკელმა 6:3, 6:2 დაამარცხა ფრანგი **კაროლინ გარსია**.

სერენამ მსოფლიოს მე-100 ნომრის წინააღმდეგ, თითო სეტში ორ-ორი ბრეიკი შეასრულა. უმცროსი უილიამსი კარგად აწვდიდა და 19 წლის მეტოქეს მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი მისცა, თუმცა ფრანგმა ეს შანსი ვერ გამოიყენა. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები ერთი თვის წინ, როლან გაროსის მეორე წრეშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც, სერენამ ორ სეტში მოიგო.

მესამე წრეში უილიამსის მეტოქე იქნება ქალთა ტურის ყველაზე ასაკოვანი წარმომადგენელი, იაპონელი **კიმიკო დატე**. გუშინ, 42 წლის ჩოგბურთელი ისტორიული რეკორდის ავტორი გახდა - ამ ასაკში, უიმბლდონზე არავის მიუღწევია მესამე წრემდე. ამ რეკორდის დასამყარებლად დატეს რუმინელი **ალექსანდრა კადანტუს** დამარცხება დასჭირდა - 6:4, 7:5. საინტერესოა, რომ იაპონელი ასე შორს უიმბლდონზე 1996 წლის შემდეგ არ გასულა, როცა ლონდონში ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

გუშინ, ორმა ფავორიტმა მოახერხა გამარჯვების მოპოვება. შარშანდელმა ფინალისტმა **აგნიეშკა რადვანსკამ** 6:1, 6:3 მოუგო ფრანგ **მატილდ იოჰანსონს**. ეს მატჩი ორ ნაწილად გაიყო, რადგან ლონდონში გუშინ პირველად გაწვიმდა და ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავის ამოქმედება გახდა საჭირო. თუმცა იძულებით პაუზას პოლონელის თამაშზე გავლენა არ მოუხდენია. სხვათა შორის, გუშინდელი წვიმის გამო, დღეისთვის გადაიდო მეორე წრის რამდენიმე შეხვედრა.

რაც შეეხება ჩინელ **ნა ლის**, მან რუმინელ **სიმონა ჰალეპს** აუღო რევანში გასულ კვირას, ისტბურნის ტურნირში დამარცხებისთვის - 6:2, 1:6, 6:0.

**II წრე**

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:6(2), 6:3, 6:1; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:3, 5:1 უარი; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-გო სოედა (იაპ) 6:0, 6:3, 6:7(5), 6:3; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3, 6:4, 7:5; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 27)**-მიხალ პრისიეჟნი (პოლ) 6:4, 7:6(2), 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 7:6(6), 6:4, 6:2; **იგორ სისლინგი (ჰოლ)**-მილოშ რაონიჩი (კან, 17) 7:5, 6:4, 7:6(4); **ივან დოდიგი (ხორ)**-დენის კუდლა (აშშ) 6:1, 7:6(4), 7:5; **კეი ნიშიკორი (იაპ, 12)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 7:6(5), 6:4, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა, 23)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 7:5 უარი; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-იესე ლივაინი (კან) 6:2, 7:6(7), 6:3.

**ქალები**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კაროლინ გარსია (საფ) 6:3, 6:2; **კიმიკო დატე (იაპ)**-ალექსანდრა კადანტუ (რუმ) 6:4, 7:5; **საბინ ლისიცკი (გერ, 23)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:1; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 14)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:2, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-შუაი პენგი (ჩინ, 24) 7:6(6), 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:1, 6:3; **მედისონ კისი (აშშ)**-მონა ბარტელი (გერ, [illegible]) 6:4, 6:2; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-კაროლინა პლიშკოვა (ჩეხ) 7:6(7), 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა, 11)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:1, 4:6, 9:7; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18)**-მარია-ტერეზა ტორო-ფლორი (ესპ) 6:0, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 32)**-ანიკა ბეკი (გერ) 7:6(5), 6:3; **ნა ლი (ჩინ, 6)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:2, 1:6, 6:0.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



# ფოტო-NEWS

## გავარდნილებმა მაყურებლებში გადაინაცვლეს



უიმბლდონის პირველ წრეში, ბელგიელ **სტივ დარცისთან** წაგების შემდეგ, ესპანელი **რაფაელ ნადალი** სამშობლოში დაბრუნდა და გუშინ, ბარსელონაში **ხულიო იგლესიასის** კონცერტს დაესწრო. რაფაელს თან ახლდა შეყვარებული **მარია ფრანსისკა პერელიო**.

ტურნირის კიდევ ერთი იმედგაცრუება **მარია შარაპოვა** კი ჯერჯერობით ლონდონში რჩება. გუშინ ის ტრიბუნაზე იჯდა და თავის შეყვარებულს გრიგორ დიმიტროვს ქომაგობდა. ბულგარელი სლოვენიელ **გრეგა ჟემლიას** ხვდებოდა. წვიმის გამო, ამ მატჩის დასრულება ვერ მოხერხდა. თამაში მაშინ შეწყდა, როცა ჟემლია მეხუთე სეტს 9:8-ს იგებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# ოფიციალურად: უებერი დიდი ცირკიდან მიდის


მარკ უებერი

„რედ ბულის“ ავსტრალიელმა პილოტმა **მარკ უებერმა** მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, ფორმულა 1-დან წასვლა გადაწყვიტა. 36 წლის ავსტრალიელი 2014 წელს შეუერთდება კონცერნ „პორშეს“, რომელიც გეგმავს „ლე მანის 24-საათიან“ რბოლაში გამოსვლას.

როგორც BBC იუწყება, უებერი კარიერის გაგრძელების სხვადასხვა ვარიანტს განიხილავდა, მაგრამ, საბოლოოდ, ფორმულა 1-ის დატოვება და სხვა სერიაში გადასვლა არჩია. *„დიდი იმედი მაქვს, რომ „პორშე“ ახალი გამოწვევა იქნება ჩემს კარიერაში. მოუთმენლად ველოდები იმ მომენტს, როცა მსოფლიოში ერთ-ერთი უსწრაფესი მანქანის საჭესთან დავჯდები“*, - ასეთი კომენტარი გააკეთა თავის გადაწყვეტილებაზე უებერმა.

ფორმულა 1-ში გატარებული 12 სეზონის განმავლობაში, ავსტრალიელმა ცხრა ეტაპი მოიგო და 36-ჯერ ავიდა პოდიუმზე. ასევე მის ანგარიშზეა 11 პოული და 15 სწრაფი წრე. უებერმა ორჯერ დაასრულა ჩემპიონატი გენერალური კლასიფიკაციის მესამე ადგილზე.

უებერი უკვე იღებდა მონაწილეობას „ლე მანის 24 საათში“ 1998 და 1999 წლებში. მაშინ, ავსტრალიელი „მერსედესის“ მანქანის საჭესთან იჯდა. რაც შეეხება „პორშეს“, ის 1998 წლის შემდეგ ბრუნდება ფრანგულ ავტომარათონში.

■ ■ ■

უებერის გადაწყვეტილების შემდეგ, „რედ ბულის“ შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** აღნიშნა, რომ გუნდი დაინტერესებულია „ლოტუსის“ ამჟამინდელი პილოტის **კიმი რაიკონენის** გადაბირებით. მისი სიტყვებით, თუ ფინელი თავისუფალი იქნება მოლაპარაკებებისთვის, ავსტრიული საჯინიბო ამ ფაქტორს გამოიყენებს. მან იმაზეც მიუთითა, რომ **ჯენსონ ბატონი** „რედ ბულში“ ნამდვილად არ გადავა.

*„არ დავმალავ: რაიკონენის კანდიდატურა მართლაც საინტერესოა „რედ ბულისთვის“*, - ამბობს ჰორნერი. - *ჩვენ მასთან მოლაპარაკებას ვგეგმავთ. ბევრ პილოტს სურს „რედ ბულში“ გამოსვლა, რაც აიოლებს ჩვენს ამოცანას. მაგრამ, გადაწყვეტილების მიღება არ უნდა ვიჩქაროთ. რაც შეეხება ბატონს, ის... ის „მაკლარენზეა“ დაქორწინებული“*.

ჟურნალისტები კიმი რაიკონენის გარდა, „რედ ბულში“ მოხვედრის კანდიდატებად ასახელებენ „ტორო როსოს“ პილოტებს - **დანიელ რიკარდოსა და ჟან-ერიკ ვერნს**.

● ავტომოტოსპორტი

# უქმეების ანონსი

ავტომოტოსპორტის მოყვარულებისთვის მომავალი უქმეები ძალიან საინტერესო იქნება: გაიმართება მორიგი ეტაპები ფორმულა 1-სა და მოტოგრანპრიში.

„დიდი ცირკი“ სამკვირიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება. მომავალი რბოლა სილვერსტოუნში, სავარაუდოდ, გადამწყვეტი გამოცდა იქნება „მერსედესისთვის“, რომელიც სერიოზულ სანქციებს გადაურჩა საბურავების ტესტების გამო. რაც შეეხებათ ფავორიტებს, აქ არანაირი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. **ფერნანდო ალონსო** თუ **სებასტიან ფეტელი?** არ უნდა დავივიწყოთ **კიმი რაიკონენიც**, რომლის ბოლიდი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს სილვერსტოუნში.

**ბრიტანეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** სილვერსტოუნი (ბრიტანეთი)
**წრის სიგრძე:** 5.891 კმ
**წრის რეკორდი:** 1:34,661 (კიმი რაიკონენი, 2012)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 132 ქულა
2. ალონსო (ფერარი) - 96
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 88
4. ჰემილტონი (მერსედესი) - 77
5. უებერი (რედ ბული) - 69
6. როსბერგი (მერსედესი) - 57
7. მასა (ფერარი) - 49
8. დი რესტა (ფორს ინდიან) - 34

**უქმეების განრიგი**

28 ივნისი, 13:00 - I პრაქტიკა
28 ივნისი, 17:00 - II პრაქტიკა
29 ივნისი, 13:00 - III პრაქტიკა
29 ივნისი, 16:00 - კვალიფიკაცია
30 ივნისი, 16:00 - რბოლა

■ ■ ■

მოტოგრანპრიში ტიტულისთვის ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება. ბოლო ორ რბოლაში **ხორხე ლორენსომ** შეძლო **დანი პედროსას** დამარცხება და შვიდ ქულამდე მოუახლოვდა საერთო ჩათვლაში თავის მთავარ კონკურენტს. ჰოლანდიის გრანპრიზე პედროსა ინიციატივის დაბრუნებას შეეცდება. **მარკ მარკესი** ჩამორჩა ორ ლიდერს, მაგრამ საჩემპიონო ამბიციები არ დაუკარგავს.

**მოტოგრანპრი**

**ჰოლანდიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** ასენი (ჰოლანდია)
**წრის სიგრძე:** 4.542 კმ
**წრის რეკორდი:** 1:34,548 (დანი პედროსა, 2012)

**საერთო ჩათვლა**

1. პედროსა (Honda) - 123 ქულა
2. ლორენსო (Yamaha) - 116
3. მარკესი (Honda) - 93
4. კრატჩლოუ (Yamaha) - 71
5. როსი (Yamaha) - 60
6. დოვიციოზო (Ducati) - 59
7. ჰეიდენი (Ducati) - 45
8. ბრადლი (Honda) - 41

**უქმეების განრიგი**

28 ივნისი, 11:55 - III პრაქტიკა
28 ივნისი, 16:10 - კვალიფიკაცია
29 ივნისი, 17:00 - რბოლა

**P. S.** ჰოლანდიის გრანპრი გუშინ, ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო, რომელიც სავალალოდ დასრულდა ხორხე ლორენსოსთვის. მოტოციკლიდან ჩამოვარდნის შემდეგ, „იამაჰას“ პილოტმა ლავიწის ძვალი გაიტეხა და ამის გამო მთელ უქმეებს გამოტოვებს.

● ამერიკული ფეხბურთი

# მკვლელობა მასაჩუსეტსში

მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ნორტ ეტლბოროს პოლიციამ დააპატიმრა ამერიკული ფეხბურთის გუნდის „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსის“ მოთამაშე **აარონ ერნანდესი**. ის მკვლელობაშია დადანაშაულებული.


აარონ ერნანდესი

17 ივნისს მომხდარი მკვლელობის მსხვერპლი გახდა 27 წლის **ოდინ ლოიდი**, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. ლოიდის გვამი დილით, მოყვარულმა მორბენალმა ერნანდესის სახლიდან ნახევარი მილის მოშორებით იპოვა.

დაღუპულის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ლოიდი ხვდებოდა ქალს, რომელიც ერნანდესის საცოლის და გახლავთ. გარდა ამისა, იტყობინებიან, რომ ლოიდი მეგობრობდა ბრალდებულთან და სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, მის გარემოცვაში ატარებდა დროს. მომხდარს მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს.

პოლიციამ აარონ ერნანდესი დააპატიმრა და მას მკვლელობაში წაუყენა ბრალი. „პეტრიოტსის“ ხელმძღვანელობა არ დაელოდა გამოძიების დასრულებას და უკვე დაითხოვა თავისი რიგებიდან ფეხბურთელი.

2010 წელს, „ნიუ ინგლენდმა“ აარონ ერნანდესი დრაფტის მეოთხე რაუნდში აიყვანა. გასული წლის აგვისტოში, ფეხბურთელმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 16 მილიონი დოლარია.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**კონფედერაციათა თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-იტალია | 0:0 პენ. 7:6 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| განა-აშშ | 4:1 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 2:1 |
| კორეა-ნიგერია | 0:1 |
| პორტუგალია-კუბა | 5:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ვისლა-ზავიშა | 1:1 |
| ფრედერისია-მიდტიულანდი | 2:2 |
| კრასნოდარი-სლავია | 3:5 |
| სპარტაკი-დინამო (კ) | 0:1 |
| ჰრადეცი-სლოვანი | 2:1 |
| მეტალურგი (დ)-ლევსკი | 1:1 |
| როსტოვი-არსენალი (კ) | 1:2 |
| გრიოდიგი-კოშიცე | 2:1 |
| ციურიხი-მიუნხენი | 1:5 |
| ზენიტი-შახტარი | 0:1 |
| მარიბორი-პეტროლული | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-ჰაკენი | 1:3 |
| ჰელსინგბორგი-აიკ | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვარბერგსი-ბრაგე | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ინტერი | 1:0 |
| იარო-მიუპა | 2:0 |
| როვანიემი-ჰონკა | 0:1 |
| ტურკუ-კუოპიო | 0:0 |
| ვაასა-იუვიასკიულა | 1:0 |
| მარიეჰამნი-ჰიკ | 0:5 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ოპს | 2:1 |
| პკ35-სეინაიოენი | 0:3 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| იეგლავა-დაუგავა | 0:3 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2013**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-იტალია | 72:68 |
| თურქეთი-ბელარუსი | 55:41 |
| საფრანგეთი-შვედეთი | 87:83 |

● TV პროგრამა

**28 ივნისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ატლეტიკო-რუბინი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ფიურტი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ეინდჰოვენი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰანოვერი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. ნიუელსი-არგ. ხუნიორსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-მაკაბი.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 32 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 19 | 34 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 28 | (მზე) |
| ქობულეთი | 18 | 29 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 33 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 16 | 30 | (მზე) |
| თელავი | 18 | 31 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 17 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 30 | (მზე) |
| მესტია | 10 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1512 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6515 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5237 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0233 |

● კალათბურთი


ლარი ბერდი

# ბერდი ინდიანაში დაბრუნდა

„ინდიანა პეისერსის“ მფლობელმა **ჰერბ საიმონმა** განაცხადა, რომ **ლარი ბერდი**, რომელმაც კლუბის პრეზიდენტის პოსტი ერთი წლის წინ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა, გუნდში დაბრუნდა, - იტყობინება „პეისერსის“ ოფიციალური ვებგვერდი.

56 წლის სპეციალისტი „ინდიანას“ 1997-2000 წლებში ავარჯიშებდა და ბოლო სეზონში გუნდი NBA-ს ფინალში გაიყვანა. კლუბში ლეგენდა 2003 წელს დაბრუნდა, 2007-08 წლების სეზონიდან კი ერთპიროვნულად იყო პასუხისმგებელი საკალათბურთო ოპერაციებზე.

პრეზიდენტის პოსტზე ბერდი **დონი უოლშს** შეცვლის.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდა **შაკილ ო'ნილი**, შესაძლოა, „საკრამენტო კინგზის“ სამწვრთნელო შტაბში შევიდეს. ის უკვე შეხვდა „კინგზის“ მფლობელებს გუნდში საკუთარი ფუნქციების განსახილველად.

როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ო'ნილი „საკრამენტოს“ „მაღლებთან“ იმუშავებს, მათ შორის, **დამარკუს კაზინსთან**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლებრონი: ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი უნდა გავხდე


ლებრონ ჯეიმსი

**ზედიზედ მეორე ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, „მაიამი ჰიტის“ ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა საინტერესო ინტერვიუ მისცა ჟურნალ Sports Illustrated-ს, სადაც თავის მეორე ჩემპიონობაზე, საკუთარ გუნდზე, „კლივლენდიდან“ წასვლაზე, მომავალ ქორწინებასა და სხვა საინტერესო თემებზე ლაპარაკობს...**

**- როგორ უმკლავდებით მუდმივ კრიტიკას თქვენი მისამართით?**

- მე არ შემიძლია მუდმივად რეაქცია მქონდეს იმაზე, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ. მე ვარ ლებრონ ჯეიმსი, ოჰაიოს შტატიდან. ისეთ გარემოში ვარ გაზრდილი, რომ აქ საერთოდ არ უნდა ვიყო. ყოველ ჯერზე, როცა გასახდელში მივდივარ, ვხედავ ჩემს მაისურს, რომელსაც "6" ნომერი და ჩემი გვარი აწერია. ეს ხომ ღვთის წყალობითაა?! იმას, რასაც ჩემზე მოედნის მიღმა ამბობენ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამ კრიტიკის გამო მე უფრო ცუდი კალათბურთელი არ გავხდები.

**- ტიტულის დაცვა უფრო რთული იყო თუ მისი მოპოვება?**

- წლევანდელი გზა ტიტულამდე ასმაგად რთული იყო. გასულ წელს, ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ, უფრო მარტივდებოდა საქმე, ზეწოლა სულ უფრო ნაკლები იყო. ამჟამინდელი გამარჯვება კი ყველაზე რთული აღმოჩნდა ჩემს კარიერაში. ჩვენ ბრწყინვალე გუნდი გვყავს. ამის წყალობით, ახლა, ჩემი ყველაზე თამამი ოცნებები ასრულდა, რომელიც ფლორიდაში გადმოსვლის შემდეგ გამიჩნდა.

**- დიადი ჯონ ვუდენი ამბობდა, რომ მოთამაშის სიდიადის საუკეთესო საზომია – მისი დახმარება პარტნიორებისთვის. ფინალის მეშვიდე მატჩში, თქვენი კარგი თამაშის წყალობით მოახერხა შეინ ბატიემ ექვსი სამქულიანის ჩაგდება. როგორ დაალაგეთ ასეთი ბრწყინვალე ურთიერთობა პარტნიორებთან?**

- ის ნამდვილი პროფესიონალია, არ ღირს მისი მიღწევების დაკნინება და ყველაფრის ჩემზე მიწერა. ვიცი, რომ საჭირო მომენტში შემიძლია შეინს ვენდო და ის არ დამალალატებს. მუდმივად ვუჩიჩინებთ მას: თუ გახსნილი ხარ - ისროლე. მან და ასევე სხვა სნაიპერებმა მაიკ მილერისა და რეი ალენის სახით, დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს წარმატებაში. ჩვენ ყველანი ერთად - დიდი გუნდი ვართ, რომელიც სრულად იმსახურებს ამ ტრიუმფს.

**- მოგვიყევით თქვენს გრძნობებსა და განცდებზე, ოჯახის მხრიდან მხარდაჭერაზე. "კლივლენდიდან" "მაიამიში" გადასვლა ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო. და ახლა, სასიამოვნოა იმის ხილვა, რომ ამან ნაყოფი გამოიღო...**

- იმ გადაწყვეტილების შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში პირველად დავტოვე მშობლიური ქალაქი. ამ დროს უცნაურმა გრძნობებმა შემიპყრო: პირველად მივატოვე მშობლიური სახლი, ოჯახი, მეგობრები. მაგრამ, სწორედ ამიტომაც გავხდი ნამდვილი მამაკაცი. მომდევნო წელს ჩემთან ჩამოვიდა ჩემი ოჯახი და საკუთარ ძალებში უფრო მეტი დამაჯერებლობა ვიგრძენი, უფრო გავთამამდი. როცა გრძნობ ნათესავებისა და ახლობელი ადამიანების მხარდაჭერას, საყვარელი საქმის კეთება უფრო სასიამოვნოა.

**- რამდენად რთული იყო ფინალის მეშვიდე მატჩის თამაში? ნერვიულობდით?**

- რა თქმა უნდა, მე ხომ ცოცხალი ადამიანი ვარ. მოულოდნელად თავს გატყდება იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი პირდაპირ ახლა ხდება. და რომ მეორე შანსი, კიდევ ერთი მატჩი არ იქნება. და ერთმანეთში ირევა აღფრთოვანება და შიში, მღელვარება და სიხარული. მეშვიდე მატჩის წინ ვერ დავიძინე და მოედანზე გასვლამდე არც ისე კომფორტულად ვგრძნობდი თავს. მაგრამ, გავიმეორებ - ბედნიერი ვარ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შემიძლია ასეთ დონეზე თამაში. კალათბურთი ჩვენი ცხოვრება გახდა, ლიგამ კი ძალიან ბევრი რამ მოგვცა.

**- ექვსი წლის წინ, "სპურსმა" არ მოგცათ ჩემპიონობის მოპოვების საშუალება, როცა "კლივლენდი" 4:0 გაანადგურა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა?**

- რა თქმა უნდა. პირველ რიგში, მე შევიცვალე. როგორც უკვე ვთქვი, ყოველ წელს ბევრს ვშრომობდი, რომ უფრო ძლიერი გავმხდარიყავი. ვფიქრობ, ჯერჯერობით მივყვები არჩეულ კურსს. მაგრამ, ამასთან, დღეს უფრო ძლიერი პარტნიორები მყავს, ვიდრე მაშინ. ვიცი, რომ მჭირდება თანაგუნდელების მხარდაჭერა. გვერდით მჭირდებოდა ისეთი ადამიანები, რომლებიც რთულ მომენტში დამეხმარებოდნენ და გუნდს გადაარჩენდნენ. მე ისინი აქ, "მაიამიში" ვიპოვე.

**- და რა იქნება ახლა? რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?**

- ჯერ არ მინდა მომავალ სეზონსა და ჩვენს შესაძლებლობებზე ფიქრი. ჯერჯერობით ის უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა სერიოზულ წარმატებას მივაღწიეთ. ყველანი დავიღალეთ ამ სამუშაოთი. დასვენება გვესაჭიროება. ლას ვეგასში მე მაქვს საკალათბურთო ბანაკი, სადაც ასობით ბავშვი 5 ივლისამდე ივარჯიშებს. მინდა აღმაფრენა მივცე ახალგაზრდობას, დავეხმარო მათ კალათბურთის შეყვარებაში. იქ კალათბურთს წავითამაშებ, მაგრამ საზაფხულო ვარჯიშებზე ჯერ არ მიფიქრია. გპირდებით, რომ ეს იქნება. მთავარი სიახლე კი ის არის, რომ სულ მალე ჩემს შესანიშნავ საცოლესთან ვიქორწინებ. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი მომენტი.

**- პირადად რა მიზნებს ისახავთ ცხოვრებაში?**

- მომავალშიც მინდა ჩემს პარტნიორებს დავეხმარო, საუკეთესოები გახდნენ. გარდა ამისა, ვგეგმავ გავხდე კალათბურთის ისტორიაში უდიადესი მოთამაშე. ასე რომ, გავაგრძელებ ამ მხრივ მუშაობას. გახსოვდეთ, რომ ამ საქმეში ჟურნალისტებიც მჭირდებით. გააგრძელეთ ჩემი მოტივირება, როგორც ამას მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში აკეთებდით.

**P. S.** სხვათა შორის, დაუმარცხებელი ამერიკელი მოკრივე ფლოიდ მეივეზერისთვის ლებრონ ჯეიმსი ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელია.

*„ვინ არის უკეთესი - ლებრონ ჯეიმსი თუ მაიკლ ჯორდანი? მე ლებრონ ჯეიმსს ვიტყოდი. და გაითვალისწინეთ ის, რომ ჯორდანის ეპოქაში გავიზარდე. მე 36 წლის ვარ“*, - განაცხადა მეივეზერმა ESPN.com-ზე.

# ESPN: ჰოვარდი ლეიკერსიდან მიდის!

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრი **დუიატ ჰოვარდი** არ აპირებს თავის ამჟამინდელ კლუბში დარჩენასა და მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** ხელმძღვანელობით თამაშს. ეს ინფორმაცია ESPN-მა გაავრცელა.


დუაიტ ჰოვარდი

როგორც ირკვევა, ჰოვარდი, რომელიც პირველ ივლისს შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება, კალიფორნიულ კლუბში დაბრუნებას არ აპირებს და „ჰიუსტონში“ ან „დალასში“ გეგმავს კარიერის გაგრძელებას.

ამერიკელი ჟურნალისტები წერენ, რომ „ლეიკერსი“ აპირებს „სუპერმენს“ შესთავაზოს ხუთწლიანი და 118-მილიონიანი კონტრაქტი. რაც შეეხება „როკეტსისა“ და „მავერიქსის“ წინადადებას, ის ოთხწლიანი კონტრაქტია 88 მილიონი დოლარის ოდენობით.

როგორც კალათბურთელთან დაახლოებული წყარო ESPN-თან ამბობს, თავად დუაიტი „დალასს“ ანიჭებს უპირატესობას, თუმცა „ჰიუსტონმა“ უკვე დაიწყო „სუპერმენის“ გადაბირებაზე მუშაობა და თანხას ათავისუფლებს გუნდის სახელფასო ბიუჯეტში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს
გამომცემლობა
ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა
ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608